ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 23 აპრილი 1996 № 31 (256) ფასი 40 თეთრი

## ხვალ ბუქარესტში...

ეროვნული ნაკრები სარუმინეთოდ მზადებას 20 აპრილს შეუდგა. შაბათს ალექსანდრე ჩივაძის განკარგულებაში მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი – დინამოელები ზოიძე, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი და ვლადიკავკაზის ალანიელი ჯამარაული გამოცხადდა. ნაკრების



თავკაცმა ოთხეულს ეროვნულ სტადიონზე ერთსაათიანი ინდივიდუალური ვარჯიში ჩაუტარა. ამ დღეს რუსეთის უმაღლეს ლიგაში მორიგი ტურის თამაშები ტარდებოდა, ამიტომ ჩივაძემ ბოლო ვარჯიში კვირას 16 საათზე დანიშნა. დათქმული დროისთვის ჩრდილოეთიდან რევიშვილი, შელია და იონანიძე ჩამოფრინდნენ, დევაძე, ჩიხრაძე და ხეფაშვილი კი რატომღაც იგვიანებდნენ. ბაზაზე მყოფი ფეხბურთელებიდან ზოიძემ, გოგიჩაიშვილმა, ჯამარაულმა, ცქიტიშვილმა და იონანიძემ ივარჯიშეს. რევიშვილი ფეხს იტკივებდა, შელიაც ვერ იყო გუნებაზე და ამიტომ მწვრთნელმა ორივე დაასვენა. მოვარჯიშე ხუთეულს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე მამია ჯიქია დაემატა და დაიწყო მარტოდ დარჩენილი ზოიძის წამება – ირაკლის წუთითაც არ დაუსვენია. მერე ფეხბურთელებმა ცნობილი კვადრატი, ოთხი-ორი გააჩურეს, ბოლოს კი მინდვრის შედარებით მშრალ პატარა მონაკვეთზე „დირ-დირი" ითამაშეს.

ექვს ფეხბურთელს ორი მწვრთნელი – ჩივაძე და კოსტავა შეუერთდა და ნამდვილი თამაშიც გაჩურდა. ერთ მხარეს ჩივაძე, ზოიძე, ჯიქია და იონანიძე თამაშობდნენ, მეორეს კი – ჯამარაული, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი და კოსტავა. თამაში მეორე მხარემ 6:5 მოიგო. ამასობაში ბაზაზე ხეფაშვილი გამოჩნდა. ვასილს სასწრაფოდ გახადეს, საკმაოდ არბენინეს, მერე ყველამ ერთად ბარიერებზე იხტუნავა და ვარჯიშიც დასრულდა. დაქანცული ფეხბურთელები შხაპის მიხალებად გაეშურნენ. გასახდელში მიმავალთაგან განსაკუთრებით ზოიძის ცნობა ჭირდა: ირაკლის სახეც კი არ უჩანდა, ისე იყო თავიდან ფეხებამდე ტალახში მოსვრილი. ნაკრების წევრები თვალს მიეფარნენ, ხოლო ჟურნალისტებმა ალექსანდრე ჩივაძე მოვიხელთეთ. ნაკრების მთავარ მწვრთნელს დევაძის და ჩიხრაძის ჩამოუსვლელობა აღელვებდა, მაგრამ იმედს არ ჰკარგავდა. მომავალ თამაშზე მოკლედ ისაუბრა:

– „ახლა ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რამდენად ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავს, მაგრამ, მიუხედავად მეტოქის სიძლიერისა, ჩვენ თამაშის „დაჭერას" შევეცდებით. მთავარია, ამხანაგურ თამაშებში ნაკრების ყველა კანდიდატი იქნას შემოწმებული, გუნდი შეთამაშდეს და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისათვის ოპტიმალური შემადგენლობა შეირჩეს. არ არის გამორიცხული, მომავალ თამაშებში დებიუტანტებიც იხილოთ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ თავის გამოჩენის საშუალება ყველა ღირსეულს ექნება. ერთ თამაშზე 16 კაცზე მეტს ვერ წავიყვანდით, სხვებს გული ნუ დაწყდებათ, მაგრამ, გარწმუნებთ, შემოდგომამდე შანსი ყველას ექნება. რაც შეეხება რუმინელების წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობას, ამას ადგილზე გადავწყვეტთ, დანარჩენს კი თამაში დაგვანახებს".

ალექსანდრე ჩივაძემ ფეხბურთელებს და თანაშემწეებს საბოლოო მითითებები მისცა და მალე ბაზაზე ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ფეხბურთელებს ოჯახებში ეჩქარებოდათ, ბევრმა მათგანმა თავაზიანად მოგვიბოდიშა და ბაზიდან გაუჩინარდა. ზოიძის, გოგიჩაიშვილის და ცქიტიშვილის „ხელში ჩაგდება" კი იოლი გამოდგა:

ზოიძემ და ცქიტიშვილმა, თავის დროზე, რუმინელებს კუდით ქვა ასროლინეს:

– ოღონდ ის საკლუბო გუნდი იყო, – გვითხრა ირაკლიმ, – ნაკრები ძალიან ძლიერია, მაგრამ საგანგაშო არაფერია. მათთან თავისუფლად შეიძლება თამაში. თავს კარგად ვგრძნობ, ფორმაშიც, არა უშავსო, რომ იტყვიან, ისე ვარ. მოკლედ, დაძაბულობას ვერ ვგრძნობ.

ცქიტიშვილიც ლაღად გამოიყურება:

– ტრავმის მერე დავფრინავ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ, რაც ვარჯიში დავიწყე, ჯანი მომემატა. რაც შეეხება თამაშს, გარწმუნებ, თავს არ შევირცხვენთ.



გოგიჩაიშვილი მთავარი კორპუსიდან დაფიქრებული გამოვიდა, რაც ცუდად მენიშნა, მაგრამ კახამ ეჭვი მალე გაფანტა:

– ცოტა დავიღალე, მაგრამ არაფერია, დავისვენებ და ყველაფერი რიგზე იქნება.

– რუმინელების ხომ არ გეშინია?

– მე და შიში? წავიდა ის დრო, გამოუცდელობის გამო ბევრს რომ ვკარგავდით. სათამაშოდ მზად ვარ. რა თქმა უნდა, ჯერ ვერ გეტყვი, რომელ ფრთაზე ვითამაშებ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ისეთმა ვინ უნდა ითამაშოს ჩემს წინააღმდეგ, რომ ვერ გავუმკლავდე. მეც ვეცდები ისე ვითამაშო, როგორ პირობებსაც ჩემს თავს ვუყენებ. დანარჩენს, თბილისში რომ ჩამოვალ, მერე გეტყვი.

ბიჭები იმედიანად არიან. ეს კარგის მომასწავებელია და ჩვენც მეტი რა გვსურს. კვირას, გვიან ღამით, დაგვიანებული დევაძე და ჩიხრაძეც გამოჩნდნენ და ჩივაძესაც სანერვიულო მოეხსნა. გუშინ, დილით ათივე ფეხბურთელი და მწვრთნელები რუმინეთს გაფრინდნენ.

მამუკა კვანტალიანი



## გრიშიკაშვილმა «ალანია» მიატოვა

საქართველოს ნაკრების კანდიდატი სოსო გრიშიკაშვილი ვლადიკავკაზის „ალანიიდან" წამოსულა. როგორც კი ეს შევიტყვე, უმალ დიღმის ბაზისკენ გავეშურე, რადგანაც ექს-ალანიელი სწორედ იქ მეგულებოდა. რამ აიძულა სოსო ეს ნაბიჯი გადაედგა? 12 მარტს, როცა „დინამო" „ალანიას" ხვდებოდა, გვითხრა კიდეც სოსომ, გაზაევი თუ არ მათამაშებს, გუნდში გამჩერებელი არ ვარო. და აი, როგორც ხედავთ, არც გაჩერებულა. გაირკვა, წამოსვლის მიზეზი მარტო სათამაშო პრაქტიკის არქონა არ ყოფილა.

– მიზეზი პირველ რიგში ის იყო, რომ რუსეთის მოქალაქეობა არ მივიღე, – მითხრა სოსომ – ამ ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება ავტომატურად ჩამომერთმეოდა. „ალანია" კი ამად არ მიღირდა. გაზაევმა ხელმეორედაც მომმართა ამ წინადადებით, მე არ დავთანხმდი და წამოვედი.

– ესე იგი, იმის გამო არ წამოსულხარ, რომ არ გათამაშებდნენ?

– არა, ეს მიზეზიც იყო.

– „ალანიას" თბილისში სტუმრობისას შენ თქვი, რომ გაზაევი თამაშებს შეგპირდა...

– გაზაევს პირობა არ შეუსრულებია. ყოველი თამაშის შემდეგ, უფრო სწორად, ყოველ ათ დღეში ერთხელ მიბარებდა და მაფრთხილებდა, აბა შენ იცი მოემზადეო. მეც ვიჯერებდი, მაგრამ დაპირებას დაპირება ცვლიდა. ბოლოს მომბეზრდა ამდენი გაურკვევლობა და წამოვედი. მოსკოვის „სპარტაკთან" წაგების შემდეგ გაზაევი ხაპოვსაც გაუწყრა და ახლა კრამარენკოს ათამაშებს.

– კვიპროსში მიღებული ტრავმა თუ მოირჩინე?

– საბოლოოდ – არა. მას შემდეგ არც მივარჯიშია. სხვათა შორის, კვიპროსიდან ტრავმირებული რომ ჩამოვედი, გაზაევი ამაზეც დაიბოლმა და ჩვენი ურთიერთობაც დაიძაბა.

– ასე უცებ რამ შეცვალა თქვენი თითქოსდა კარგი დამოკიდებულება?

– არა, ეს უცებ არ მომხდარა. ტრავმა უბრალოდ საბაბი იყო. ნაკრებიდან ჩამოსულმა ყველაფერი ნათლად დავინახე.

– წამოსვლის წინ გაზაევს თუ ესაუბრე?

– რა თქმა უნდა. ვუთხარი, რომ ჩემს დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ჩვენი საუბრის წინა დღეს კვლავ შემომთავაზა რუსეთის მოქალაქეობის მიღება. მე ამ მოთხოვნაზე წამოსვლით ვუპასუხე.

– შენ ხომ შარშან მიიღე რუსეთის მოქალაქეობა, რატომღა გახდა ეს ისევ საჭირო?

– მაშინ დროებითი მოქალაქეობა მივიღე, ახლა კი მუდმივ მოქალაქეობას მთავაზობდნენ. ეს მეტად აძლევდა ხელს გაზაევს, რადგან უცხოელი მეკარის ყოლა არ უნდოდა. ამიტომაც იყო, რომ მითხრა – უარი თქვი ნაკრებზეო. დროც კი მომცა. ჩემი პასუხი უკვე იცით.

– ასეთი არჩევნის წინაშე სხვა ქართველებიც ხომ არ არიან?

– ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ, ეჭვიც არ მეპარება, რომ შეეცდება.

– ახლა რას აპირებ?

– მოლაპარაკებები მიდის ცსკა-სთან და მოსკოველების პასუხს ველოდები. თუკი ვლადიკავკაზელებს საჭირო თანხას გადაუხდიან, ალბათ, გადავალ.

– ადრე თქვი, რომ მოსკოვის „ტორპედოს" სურდა შენი წაყვანა...

– „ტორპედოს" მაშინ მეკარის პრობლემა ჰქონდა. ახლა ეს პრობლემა მოუხსნა. ამიტომ „ტორპედოდან" მოწვევას აღარ ველოდები. „ტორპედოს" გარდა ჩემით „როტორი", „ჟემჩუჟინა" და „ურალმაში" იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ მე უფრო ცსკა-ში გადასვლა მსურს და პასუხსაც ყველაზე დიდი ინტერესით იქედან ველი.

– თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობასთან არ გქონია საუბარი?

– მქონდა. რუსეთიდან საქართველოში დაბრუნება ძნელი კია, მაგრამ პირობებს გააჩნია. „მეტალურგიდანაც" მქონდა მიწვევა. ახლა მთავარი ის არ არის, სად ვითამაშებ. მთავარია ვითამაშო და რაც შეიძლება ბევრი, ნაკრებისთვის რომ მოვემზადო.

მერაბ მამულაშვილი

## აშვეთია: „ბოავიშტაში" ჩემი გადასვლა ფაქტიურად გადაწყვეტილია, მაგრამ...



სწორედ დაუმთავრებელი ნათქვამის გამო იყო, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის მიმართ სიმპათიები რომ გამიჩნდა. ბევრი ჩვენი ფეხბურთელი ალბათ დაუფიქრებლად დატოვებდა საქართველოს, პორტუგალიის ჩემპიონატის მესამე ადგილზე მყოფი გუნდი რომ იწვევდეს. მიშა კი ცდუნებას არ აჰყოლია. მიზეზს ცოტა მოგვიანებით გეტყვით.

...ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე აშვეთიას ჩამოსვლა დაუგვიანდა – გზაში მანქანა გაუფუჭდა და ამიტომ გუნდის ვარჯიშს ტრიბუნიდან უცქერდა. მეორე დღეს კი ივარჯიშა, მაგრამ კოჭის მიდამოებში ფეხი დაიზიანა და დასვენება მოუხდა.

– ფეხი კი ვიტკინე, მაგრამ სერიოზული არაფერია.

— ნაკრებს არ გაჰყვები?

– თამაშამდე ვერ ვივარჯიშებ და ჩემს იქ წასვლას რაღა აზრი ექნება? უვარჯიშებელი ხომ მაინც ვერ ვითამაშებ.

— მოსკოვის „სპარტაკიდან" შენი წამოსვლის შემდეგ ითქვა, რომ აშვეთია, შესაძლოა, ისევ იქ დაბრუნდესო. რამდენად შეეფერება ეს ცნობა სიმართლეს?

– ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. ჩვენი გუნდი მოსკოველებს ვერ მოურიგდა – ქუთაისელები ბევრს ითხოვდნენ, რაზეც მოსკოველებმა უარი თქვეს. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ „სპარტაკში" გადასვლის ვარიანტი მომეცეს და მოსკოვში დავბრუნდე.

— შემდეგ შევიტყვეთ, რომ შენით პორტუგალიის „ბოავიშტაც" დაინტერესებულა...

– იქ გადასვლა 90 პროცენტით გადაწყვეტილია, მაგრამ ეს მაინც ჩემზეა დამოკიდებული. მე, ცოტა არ იყოს, სიფრთხილით ვეკიდები პორტუგალიელთა წინადადებას – მოსკოვში ყოფნისას სპარტაკელებმა მითხრეს, რომ პორტუგალიელებს მათთვის ჯერაც არ გადაუხდიათ მოსტოვოისა და კულკოვის საფასური. ეს ფული კი, კარგა ხანია „სპარტაკის" ანგარიშზე უნდა ყოფილიყო. მოკლედ, პორტუგალიელები ევროპაში სიტყვის ხალხად არ მიაჩნიათ და მე ნამდვილად არ მინდა, რომ მოტყუებული დავრჩე. ამიტომ დაფიქრება მმართებს. თანაც, შორია პორტუგალია...

— ვთქვათ, ყველა საკითხი მოგვარდა და გადახვედი „ბოავიშტაში". ამ შემთხვევაში შესაძლოა, ერთი არცთუ უმნიშვნელო პრობლემა გაჩნდეს — ნაკრების მწვრთნელებს შენზე ინფორმაცია თუ არ ექნათ, შეკრებებზე აღარ მიგიწვევენ...

– წინასწარ ვერ ვიტყვი, იქ წასვლის შემთხვევაში რა მელის, მაგრამ წასვლას რომ ვფერხებ, ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს არის.

— ზამთარში, როგორც ვიცი, ტრაბზონშიც ყოფილხარ. იქ გამართულ საკონტროლო შეხვედრაში შვიდიდან ხუთი გოლი შენს ანგარიშზე ყოფილა...

– ტრაბზონში გასინჯვაზე ვიყავი, მაგრამ ძირითად შემადგენლობასთან არ მითამაშია, ისინი წასულები იყვნენ. სამჯერ სათადარიგო გუნდთან ერთად ვივარჯიშე. თურქებს მოვეწონე, მაგრამ „ტორპედოში" არეულობა იყო და გადასვლა ველარ მოვასწარი.

— „ტორპედოს" ახალი მწვრთნელი — ჯემალ ხერხაძე ჰყოლია...

– ბერკაძე გაათავისუფლეს და ამჟამად იგი ქუთაისში იმყოფება.

— როგორ, ფეხბურთს თავი დაანება?

– არა მგონია. თვითონაც ამბობს, რომ „ტორპედოში" დაბრუნება სურს.

— თუ შეგიძლია, ჩამოთვალე ის გუნდები, რომლებიც შენით იყვნენ დაინტერესებულნი.

– თბილისის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი", „ბოავიშტა", „ფარენსე", „ტრაბზონსფორი". ვოლგოგრადის „როტორიდანაც" მქონდა მიწვევა.

— „ბოავიშტაში" რამდენწლიან კონტრაქტს გთავაზობდნენ?

– ამის თაობაზე ჯერ არ გვისაუბრია. ხომ ვთქვი, შეიძლება არც წავიდე-მეთქი.

— ბოლოს ერთშიც გაგვარკვიე: იურიდიულად ვის ეკუთვნი — „დინამოს", „ტორპედოს" თუ ქუთაისის „რწმენას", რომელიც ბოლოს ჩაერთო შენი გაყიდვის უფლებისთვის ბრძოლაში...

– ზუსტად და დანამდვილებით არც კი ვიცი. ვიცი, რომ „დინამოდან" „ტორპედოში" გამანათხოვრეს. ისე, თავის დროზე ხუთწლიანი კონტრაქტი მქონდა გაფორმებული „რწმენასთან", ახლა კი სამწლიანი – „ტორპედოსთან". მოკლედ, ყველაფერი დასაზუსტებელია, ერთის გარდა – გუნდის შერჩევა ჩემი ნებით მოხდება, ყველასა და ყველაფრისგან დამოუკიდებლად.

მერაბ მამულაშვილი

### ციტატა

თუკი „მანჩესტერ სიტი" გავარდება, გიორგი ქინქლაძის გასამართლად კლუბების გრძელი რიგი დადგება, რომელსაც, მოლოდინის მითქმა-მოთქმის თანახმად, „მილანი" ჩაუდგება სათავეში.

WORLD SOCCER მაისი, 1996

## საქართველოს ჩემპიონატი

### XXIII ტური

### მეტალურგი 2:1 სამტრედია

მეტალურგი: გ. დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, პატარიძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი, ჩალაძე, პერტია (არჩვაძე 46), ტარტარაშვილი, ალადაშვილი

სამტრედია: დოლაბერიძე, ჩომახიძე, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ხუჭუა (გვასალია 78), ტყავაძე, დარასელია, ჩხაიძე (რუხაძე 46)

0:1 ჯელაძე (50 პ), 1:1 ალადაშვილი (56 პ), 2:1 ჩალაძე (61)

ლიდერთა შეხვედრა მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველ ტაიმში „სამტრედიამ" საკმაოდ კარგად ითამაშა და უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე მეტოქემ. აღსანიშნავია, რომ „კოლხეთთან" შეხვედრის შემდეგ გუნდს ფაქტიურად არ უვარჯიშია. სამტრედიელებს ისედაც მოკლე სკამის პირობებში რამდენიმე კაცი დაშავებული ჰყავდათ და ამის ფონზე მართლაც გასაოცარი იყო ის მონდომება და ჟინი, მათ რომ აჩვენეს. პირველი გოლიც გაიტანეს. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ სტუმრებს წარუმატებელ შეხვედრათა სერია რუსთავში უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ მეორე ტაიმში რუსთაველები გამოცოცხლდნენ. მათმა კონტრშეტევებმა მეტოქეს საკმაო თავსატეხი გაუჩინა. განსაკუთრებით ჩალაძე, ზირაქიშვილი და ალადაშვილი გამოირჩეოდნენ. სწორედ მათი აქტიურობის წყალობით გაიმარჯვა „მეტალურგმა". ჯერ იყო და, ზირაქიშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით ალადაშვილმა ანგარიში გაათანაბრა, ხუთიოდე წუთში კი ზირაქიშვილისვე ჩაკიდებულ ბურთს ჩალაძემ ფეხი დაუხვედრა და რუსთაველები დააწინაურა. ამის შემდეგ ორივე გუნდი საკმაოდ აქტიურობდა, სახიფათო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ვერცერთმა იხეირა. რუსთაველებმა მორიგი გამარჯვება იზეიმეს და ევროპის საგზურებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. რაც შეეხებათ სამტრედიელებს, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვიღა ჩივის — როგორც მათი მთავარი მწვრთნელი კახა ელაშვილი ამბობს, მეორე ადგილიც სანატრელი გაუხდათ.

### დილა 1:6 დინამო

დილა: სოლოლაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ტაბატაძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ჯალაბაძე 46), მარლიშვილი, წკრიალაშვილი (კაიდარაშვილი 46), რევაზიშვილი

დინამო: ზოიძე, კიკნაძე, კობიაშვილი, დიდავა, ცქიტიშვილი (ჭიჭვეიშვილი 74), გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი, ხომერიკი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ხორხელი 57), იაშვილი (დემეტრაძე 67)

1:0 მარლიშვილი (16), 1:1 ხომერიკი (23), 1:2 გოგიჩაიშვილი (30 პ), 1:3 იაშვილი (36), 1:4 გოგიჩაიშვილი (44), 1:5 გოგიჩაიშვილი (75), 1:6 ინალიშვილი (79)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

„დილამ" მხოლოდ 20 წუთი გაუძლო „დინამოს", მერე კი თამაში კატა-თაგვობანას დაემსგავსა. სტუმრები უტევდნენ და კარნახობდნენ მატჩის სცენარს, მაშინ, როცა თამაშის დასაწყისში მასპინძლები მძლავრობდნენ. თარხნიშვილმა გამოზომილი პასით მარლიშვილი ზოიძესთან ეულად დატოვა, რომინმაც არ დაახანა და ანგარიში გახსნა. ეს დინამოელ მცველთა ერთადერთი შეცდომა გახლდათ (შევახსენებთ, რომ ორ-ორი გაფრთხილების გამო არ თამაშობდნენ მაჭავარიანი და ლობჟანიძე). ამის შემდეგ ხომერიკი გააქტიურდა და ორჯერ სახიფათოდ შეიჭრა გორელთა საჯარიმოში — პირველად ინალიშვილის პასი გამოიყენა და სოლოლაშვილს შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა, ხოლო მერე მასპინძელ მცველს თავი წააქცევინა, პენალტი კი გოგიჩაიშვილმა შეაგდო. იაშვილმა ამჯერადაც ივარგა და სტუმრები 36-ე წუთზე კიდევ უფრო დააწინაურა. შემდგომ კი გოგიჩაიშვილი ვერ გააჩერეს გორელებმა. კახამ ჯერ თავისივე გარღვევა ტაიმის ბოლოსწინა წუთზე გოლით დაასრულა, ხოლო მეორეში თავის მონაგარს ერთიც დაუმატა და ჰეთ-თრიქიც გაჩარხა.

თამაშს ბოლო წერტილი სეზონის დებიუტანტმა გელა ინალიშვილმა დაუსვა. ნაავადმყოფარმა და აწ უკვე გამოჯანსაღებულმა ფეხბურთელმა ძველებურად, შორეული დარტყმით, ლამაზი გოლი გაიტანა.

ცხადია, „დინამო", ფაქტიურად, უკვე ჩემპიონია, საქართველოს ჩემპიონატში მისი შემჩერებელი გუნდი არ გვეგულება. თანაც, თბილისელებმა საპრიზო ადგილის მაძიებელ ყველა გუნდთან იმარჯვეს. შედარებით სანერვიულო მატჩი მხოლოდ „მარგვეთთან" დარჩათ და ისიც შინ, საკუთარ მინდორზე.

გორში ერთი საგულისხმო ფაქტი მოხდა: პირველი ტაიმის განმავლობაში ტრიბუნებზე რამდენიმე ვაი-გულშემატკივარი საშინლად ბილწსიტყვაობდა, მაგრამ ადგილობრივი სამხარეო პოლიციის უფროსმა ნოდარ დალაქიშვილმა საჭირო ზომები მიიღო და ღებოშირები სასწრაფოდ მიაბრძანეს სტადიონიდან. ამით გულშემატკივარს თამაშის ნორმალურად ყურების საშუალება მიეცა. ბატონი ნოდარის მაგალითს რომ სხვა რაიონების ანალოგიური სამსახურის წარმომადგენლებმა მიბაძონ, იქნებ, მართლაც დამყარდეს სტადიონებზე მეტ-ნაკლებად სანიმუშო წესრიგი.

### ტორპედო 3:2 კოლხეთი

ტორპედო: ხელაძე (მამართაშვილი 66), შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, სადილიანი, ჯინჭარაძე, კვეტენაძე, ჩხეტიანი (გიორგობიანი 80), შენგელია, აშვეთია, ვაჩიბერაძე (მეგრელაძე 66)

კოლხეთი: გვასალია, ქობელაძე (თიბილაშვილი 51), გიგატაძე, ხუჯაძე, არზიანი, ღალანიძე, კიკლიაშვილი, ტორჩინავა (ბულუხია 46), გიორგაძე, გაბისონია, ამბიძე

1:0 კვეტენაძე (29), 2:0 შენგელია (39), 1:2 ბულუხია (65), 2:2 კიკლიაშვილი (80), 3:2 მეგრელაძე (85)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

პირველი ნახევარში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო, რაც ორბურთიან სხვაობაში გამოიხატა. ჯერ იყო და, აშვეთია-ჩხეტიანის მიერ გათამაშებული კომბინაცია კვეტენაძემ შორეული დარტყმით დააგვირგვინა, ხოლო მერე მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი შენგელიამ საჯარიმოში მიიღო და გვასალიას მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმში სტუმრებმა იძალეს. „კოლხეთმა" იმდენი საგოლე მომენტი შექმნა, ბარე ხუთ თამაშს ეყოფოდა. მარტო გელა გაბისონიამ ოთხჯერ კარს ააცილა. მერე ახალშემოსულმა ბულუხიამ ცარიელი კარის წინ ბურთი ძელს მოარტყა. მართალია, ცოტა ხანში შეცდომა გამოასწორა და ამბიძის პასით სხვაობა შეამცირა, მაგრამ ამან საერთო საქმეს ვერ უშველა. „კოლხეთმა" ანგარიში გაათანაბრა: 80-ე წუთზე მასპინძელთა საჯარიმოს ახლოს დანიშნული ჯარიმა კიკლიაშვილმა ოსტატურად შეასრულა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მეგრელაძემ „ტორპედოს" გამარჯვება მოაპოვებინა — საჯარიმოს გარედან დარტყმულზე სტუმართა მეკარის რეაქცია დაგვიანებული აღმოჩნდა.

### შევარდენი 4:0 დურუჯი

შევარდენი: აბუსერიძე, ქველაძე (ხეტეშვილი 46), მელქაძე, კვიტატიანი, გოგოლაძე, ქოიავა, კანკავა, ჯიქია, გოდერძიშვილი, ნიტაეშვილი, მინდიაშვილი

დურუჯი: მ. სომხიშვილი (გ. სომხიშვილი 10), ვარადაშვილი (ბოჭორიშვილი 60), ჩიხრაძე, ცინცაძე, მოსიაშვილი, ოსეფაიშვილი, ყანჩაშვილი, კობიაშვილი, ქარენაშვილი, ყიზილაშვილი, ნინრიაშვილი

1:0 გოდერძიშვილი (3), 2:0 ჯიქია (44), 3:0 ქოიავა (48), 4:0 გოდერძიშვილი (78)

გაფრთხილება: ქველაძე, ქარენაშვილი

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

თამაშში საგულისხმო ის მოხდა, რომ სტუმართა მეკარეს გიორგი სომხიშვილს 10 წუთი დააგვიანდა და გოლკიპერის ფუნქციის შესრულება მის მოსვლამდე მისმა მოგვარემ მიხეილმა იკისრა. ყვარლელი მცველი კარგი გოლკიპერი ვერ გამოდგა — მესამე წუთზე მასპინძელმა გოდერძიშვილმა ბურთი თავზე გადაუგდო. მერე ყვარლელებს მეკარეც მოუვიდათ, მან ტაიმის ბოლოსწინა წუთამდე კი შეინახა კარი, მაგრამ 44-ე წუთზე ჯიქიას წინააღმდეგ ვერაფერს გახდა — მამუკამ თავად დაასრულა თავისივე დაწყებული. მასპინძლებმა მეორე ტაიმში კიდევ ორი გაიტანეს და ამ გამარჯვებით საბოლოოდ დააღწიეს თავი სახიფათო ზონას. მართალია, „შევარდენს" გავარდნა არ ემუქრება, მაგრამ შეიძლება დაიშალოს. ამის თქმის საბაბს ორი ფაქტი გვაძლევს. პირველი ის გახლავთ, რომ უკვე ორი მატჩია, რაც შევარდენელები სათამაშოდ მთავარი მწვრთნელის მურთაზ ხურცილავას გარეშე გამოდიან; მეორეც — ფეხბურთელები მომავალი ტურის მატჩზე წაუსვლელობით იმუქრებიან. ყველაფრის თავი და თავი კი ისევ და ისევ ფინანსური სიდუხჭირე ყოფილა. არადა, მეორე წრის დასაწყისისთვის „შევარდენს" თითქოს, უცხოელი სპონსორი გამოუჩნდა, რომელიც დღე-დღეზე თბილისში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მსგავსი არათერი მომხდარა — ამავინაც ჩამოსულა. ტელეფონებით აღნიშნული საკითხის შესახებ „შევარდენის" ხელმძღვანელობას ვერ დავუკავშირდით. ისიც კი არ ვიცით, ვინ აიღო თავის თავზე გუნდის ფინანსურად უზრუნველყოფა და პატრონობა. ფაქტი ერთია: მდგომარეობა სავალალოა და სწრაფ გამოსწორებას მოითხოვს. ჩვენ კი შევეცდებით, მომდევნო ნომერში „შევარდენის" პრობლემებზე ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდოთ.

### იბერია 2:1 გურია

იბერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (ნარმანია 69), ტყემალაძე, ლომიძე (გლუნჩაძე 61), ი. ბუხრიკიძე (ვეშაპიძე 25), კაციაშვილი, ვ. ბუხრიკიძე

გურია: აბაშიძე, ლურწკაია, ცერცვაძე, კუკულაძე, ყოლბაია, ებრალიძე, ჩიგოგიძე, ლორია, ქიქავა, ბახტაძე (წილოსანი 70), მარგიანი

1:0 ჩიბაშვილი (19), 1:1 მარგიანი (37), 1:2 ჩიბაშვილი (41 პ)

მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

## დანარჩენი მატჩები

### კახეთი 4:1 ეგრისი

### მარგვეთი 5:1 სიონი

### ოდიში 1:3 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 23 | 18 | 4 | 1 | 69-11 | 58 |
| მარგვეთი | 23 | 18 | 1 | 4 | 71-21 | 55 |
| მეტალურგი | 23 | 17 | 0 | 6 | 54-26 | 51 |
| სამტრედია | 23 | 14 | 7 | 2 | 68-29 | 49 |
| კოლხეთი | 23 | 15 | 2 | 6 | 52-35 | 47 |
| ბათუმი | 23 | 13 | 5 | 5 | 53-23 | 44 |
| ტორპედო | 23 | 12 | 5 | 6 | 48-33 | 41 |
| დილა | 23 | 10 | 4 | 9 | 46-43 | 34 |
| შევარდენი | 23 | 9 | 2 | 12 | 33-36 | 29 |
| კახეთი | 23 | 7 | 3 | 13 | 23-47 | 24 |
| ოდიში | 23 | 7 | 2 | 14 | 34-51 | 23 |
| ივერია | 23 | 7 | 2 | 14 | 23-42 | 23 |
| სიონი | 23 | 6 | 0 | 17 | 23-52 | 18 |
| გურია | 23 | 6 | 0 | 17 | 19-55 | 18 |
| ეგრისი | 23 | 5 | 2 | 16 | 36-60 | 17 |
| დურუჯი | 23 | 0 | 1 | 22 | 11-99 | 1 |

# კახა ელაშვილი: მეორე ადგილიც სანატრელი გაგვიხდა



ალბათ ადვილი წარმოსადგენია, როგორი განცდები დაეუფლებოდა „სამტრედიის" მთავარ მწვრთნელ კახა ელაშვილს რუსთავში „მეტალურგთან" წაგების შემდეგ, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი გასახდელში არ ჩაკეტილა, ჟურნალისტების შემოტევას არ გაქცევია და მათთან საუბრისთვის თავი არ აურიდებია.

ბოლო ოთხი შეხვედრა „სამტრედიამ" წარუმატებლად ითამაშა — სამი მატჩი ერთნაირი შედეგით 2:2 დაამთავრა, ბოლოს რუსთავში დამარცხდა. „დინამოს" კონკურენტობას ვიღა ჩივის, სამტრედიელებს მეორე ადგილიც სანატრელი გაუხდათ.

— გუნდს ცხრა მოთამაშე რომ დატოვებს, მეტს რაღას უნდა ელოდო კაცი, — გვითხრა ელაშვილმა.

— ამას მოთამაშეთა ტრავმებიც დაერთო — ფოთში დარასელია დაშავდა, ჩხაიძემ ხელი მოიტეხა და მგონი, ნეკნებიც ჩამტვრეული აქვს, ტყავაძეს ფილტვები აწუხებდა, ხვადაგიანმაც საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო, ავადმყოფობის გამო ამაშუკელმაც ვერ ითამაშა. მიზეზს მიზეზი დაერთო, რასაც წარუმატებელი თამაში მოჰყვა. ყოველივე ამის გამო იყო, იძულებული რომ გავხდით ზუგდიდელებთან შეხვედრაში მეკარე ჭანტურია თავდამსხმელად გვეთამაშებინა.

— როგორც ჩანს, საკმაოდ მოკლე სკამი გაქვთ...

— ეს ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემაა. თავიდანვე სერიოზული შეცდომა იყო დაშვებული, როდესაც 20 ფეხბურთელი შევიყვანეთ განაცხადში. 2-3 ადგილი მაინც უნდა დაგვეტოვებინა შავი დღისთვის. დამატებული ფეხბურთელების რიცხვიც უფრო ნაკლები იყო, ვიდრე წასულებისა. მოკლედ რომ ვთქვათ, დღეს „სამტრედიაში" სულ 14 ფეხბურთელი ირიცხება. ნორმალურ გუნდში კი ეს რიცხვი 16-18 უნდა იყოს.

... წარუმატებლობა სასიამოვნო რომ არ არის, ყველასათვის ცხადია, მითუმეტეს, ზედიზედ სამი ფრე ძალზე გულსატკენია, განსაკუთრებით — „ბათუმთან". ეს შეხვედრა ფრედ არ უნდა დასრულებულიყო. შეიძლება უიღბლობასაც დავაბრალო, თანაც, ფეხბურთს თავისი დაუწერელი კანონები აქვს — შენ თუ ვერ გაიტან ხელსაყრელი მდგომარეობიდან, მეტოქე დაგსჯის და ფსიქოლოგიურადაც დაგთრგუნავს. „ბათუმთან" ასე დაგვემართა. თამაშს 2:0-ს ვიგებდით, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და მეტოქემაც არ გვაპატია.

— „სამტრედიის" სატურნირო მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ევროთასებზე გასვლისთვის ბრძოლა მეტად გაგიჭირდებათ. ქულებს იმდენად არ ვგულისხმობ, რამდენადაც ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას...

— პესიმისტურად მაინც არ ვართ განწყობილი. ყოველნაირად ვეცდებით მდგომარეობის გამოსწორებას. ძალიან მწყდება გული — სავიშვიშო ხომ ნამდვილად არაფერი გვქონდა. ფოთთან შეხვედრის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდა. და უცებ მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა — ერთდროულად რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაშავდა. გარდა ამისა, იმისგანაც არ ვართ დაზღვეულები, ყვითელი ბარათის გამო ყოველ ტურში კაცი რომ გამოგვაკლდეს. 14 კაცით ძნელია იმ მიზნის მიღწევა, „სამტრედიის" ხელმძღვანელობა რომ ისახავდა სეზონის წინ. ისე, ტრაბახში არ ჩამომართვათ და, რომ არა ტრავმები, ჩვენსას მაინც მივაღწევდით მარტო შინ მოგებული შეხვედრების წყალობით.

ამჟამად, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს სამტრედიელი გულშემატკივრებისთვის, მიზანი უკვე აღარ არის პირველობისათვის ბრძოლა, თუმცა „დინამოს" ბოლო ტურებამდე მაინც არ მოვასვენებთ, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე გითხარით, მეორე ადგილიც სანატრელი გაგვიხდა.

— გულშემატკივართა ნაწილი თქვენს წარუმატებლობას არაობიექტურ მსაჯობას აბრალებს...

— არბიტრების დონეს „სამტრედიის" თამაშების მსაჯობით თუ შევაფასებ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ისეთი ობიექტური მსაჯობა, წელს რომ არის, ალბათ აქამდე არ ყოფილა. ეს ფეხბურთის ფედერაციის დიდი დამსახურებაა. ღმერთმა ქნას, რომ აწიც ასე გაგრძელდეს.

— ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ადგილობრივი კაცისათვის ძნელია მთავარი მწვრთნელობა. აპირებთ თუ არა ამ პოსტზე დარჩენას?

— ამას უკვე გუნდის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იმის მიხედვით, თუ როგორ შეაფასებს ჩემს მუშაობას.

ისე კი ასე მაქვს განზრახული — თუკი დააკმაყოფილებენ ჩემს მიერ წამოყენებულ პირობებს, რომლებიც გუნდის ინტერესებს დაიცავს, ბუნებრივია, დავრჩები, თუ არადა — არავითარ შემთხვევაში.

— შეეფერება თუ არა სიმართლეს ცნობა იმის შესახებ, რომ „სამტრედიას" ჩაჩუას გარდა სხვა სამტრედიელი საქმოსნებიც დაეხმარებიან?

— ეს სავსებით შესაძლებელია, რადგანაც ჩაჩუას გაუჭირდა მარტო გუნდის პატრონობა. თვითონაც ძალიან მოხარული იყო, ეს რომ გაიგო. ვნახოთ, სურვილები საქმედ თუ იქცევა.

— „სამტრედიას" ორი შეხვედრის ჩატარება ნეიტრალურ მინდორზე უწევს. ეს თქვენს მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს...

— ბუნებრივია, სად შინ თამაში და სად — სხვა ქალაქში. რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება.

მერაბ მამულაშვილი

# გია ჭანტურიას კარში დგომა ურჩევნია



თავისუფლად შეგვეძლო ზუგდიდის „დინამოსა" და „სამტრედიას" შეხვედრა ჩვეულებრივ მატჩად მიგვეჩნია, რომ არა ერთი გარემოება — სამტრედიელთა მეკარე გია ჭანტურია ამ შეხვედრაში თავდამსხმელად (!) მოგვევლინა. ამის შესახებ „სარბიელი" უკვე იუწყებოდა. მსგავსი რამ წლევანდელ ჩემპიონატში პირველად არ მომხდარა — თუნდაც იმავე ტურში ბოლნისელთა მეკარე დალაქიშვილმაც მიბაძა სამტრედიელ კოლეგას, ოღონდ, მისგან განსხვავებით, მცველად ითამაშა.

გია ჭანტურიას რუსთავში ვესაუბრე. „მეტალურგთან" შეხვედრა სამტრედიელთა მეკარემ (თუ თავდამსხმელმა) მიზეზთა გამო გამოტოვა. საუბრის დაწყებისთანავე ზუგდიდელებთან შეხვედრა გავახსენე.

— ხალხი გვაკლდა და სხვა გზა აღარ იყო. მე მშვენივრად მესმის, რომ უნდა ვითამაშო ისე, როგორც გუნდის ინტერესები მოითხოვს.

— გასაგებია, მაგრამ ეს ხომ შენი ჩვეული ადგილი არ არის?

— ბუნებრივია, ფიქრადაც არასოდეს გამივლია თავდამსხმელად თამაში, მაგრამ რა გაეწყობოდა. მიზეზი უკვე გითხარი. ისე კი, ვარჯიშების დროს წინ ცუდად არ ვთამაშობ და ვერ ვიტყვი, რომ კარების დატოვება ძალიან გამიჭირდა.

— დამეთანხმები, რომ ბოლო წლებში საფეხბურთო მოდის კანონმდებლად „აიაქსი" იქცა. იქ კი მეკარე, ფაქტიურად, ლიბერო და გუნდის მეთერთმეტე მოთამაშეა. ვგონებ, ამ ტენდენციას ქართველმა მწვრთნელებმაც უნდა მიაქციონ ყურადღება.

— აბსოლუტურად გეთანხმები. ლუის ვან გაალი ტაქტიკაში აქამდე ფაქტიურად გამოუყენებელ მეთერთმეტე მოთამაშეს — მეკარესაც იყენებს. ახლა გოლკიპერს გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე აქამდე ჰქონდა. მეკარემ პირველ რიგში ფეხით თამაში უნდა დახვეწოს, ამას კი მიჩვევა სჭირდება. მომენტებში მეკარის ლიბეროდ გამოყენება მართლაც პროგრესული ტენდენციაა. ეს მეტოქესთან უპირატესობას განიჭებს.

— მეკარემ ფეხით თამაში უნდა დახვეწოსო — თქვი. ამისთვის გუნდთან ერთად თუ ვარჯიშობ?

— ადრე უფრო ვვარჯიშობდი, ახლა — ნაკლებად.

— როგორ ფიქრობ, სად ჯობია თამაში — კარში თუ თავდასხმაში?

— ნაღდად კარში დგომა მირჩევნია.

— ნუთუ მართლა ასე ფიქრობს თავდასხმაში დაყენებული მეკარე, რომელმაც საგოლე პასი გააკეთა და გოლის გატანით გამოწვეული სიხარული გაიზიარა?

— ...იცი, რაშია საქმე... ბევრი სირბილია საჭირო.

— ეტყობა, გვარიანი ზარმაცი ხარ...

— არა, მაგას ნამდვილად ვერ ვიტყვი. უბრალოდ, მეკარისთვის უჩვეულოდ დიდი დატვირთვა მივიღე. რაც შეეხება გოლის გატანით გამოწვეულ სიხარულს, ამ დროს მართლაც რომ ბედნიერი ვიყავი. ბურთი რომ მომაწოდეს, ვიგრძენი, რომ ჩემს უკან გვასალია იდგა და ბურთი გავატარე. ედიკაც შეჰყვა და გოლი გაიტანა. საერთოდ, ვერ ვიტყვი, რომ თავდამსხმელობა ძალიან გამიჭირდა. ცოტა სხვანაირი მიხვრა-მოხვრაა საჭირო. ეს კი არ გამძნელებია.

— ფიზიკურად არ დაღლილხარ?

— მხოლოდ პირველ ტაიმში, ისიც იმიტომ, რომ ზუგდიდელები ხშირად გვტოვებდნენ თამაშგარეში. მეორე ტაიმში კი უკეთ ვითამაშე — როგორც იტყვიან, მეორე სუნთქვა გამეხსნა.

— ინსტიქტურად ხელით ხომ არ გითამაშია?

— არა, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

— პარტნიორებიდან ვის გამოარჩევდი?

— გვასალიას. ჩვენ წინ ვთამაშობდით და საერთო ენაც გამოვნახეთ.

— როგორია მეკარის და თავდამსხმელის თვალით დანახული ფეხბურთი?

— კარში მშვიდად დგახარ და მოედანზე დატრიალებულ მოვლენებსაც უფრო კარგად აღიქვამ. წინ თამაშისას კი ემოციები მოჭარბებულია და თამაშის დანახვისა და გარჩევის ნაკლები საშუალებაა. ერთი სიტყვით, განსხვავება აქაც დიდია.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდის გავუსწრებთ „დინამოს"?

გახსოვთ, ალბათ, წლევანდელი ჩემპიონატის პირველი წრის მსვლელობისას რუსთავის „მეტალურგი" რთულ მდგომარეობაში რომ იმყოფებოდა — ფინანსური პრობლემების გამო გუნდი დაშლის პირას იყო მისული. ის განწყობაც არ დამვიწყებია, ბათუმში სათასო შეხვედრის შემდეგ რომ ჰქონდათ ბიჭებს — ამ სეზონს რამენაირად ჩავამთავრებთ და შემდეგ „მეტალურგიდან" წავალთო. გუნდის მთავარი მწვრთნელი რეზო ძოძუაშვილი კი ბოლო ტურების თამაშებსაც აღარ ესწრებოდა. ხმებიც დაირხა — „მიხიჩ" „მეტალურგიდან" მიდისო. ეს სიმართლე არ გამოდგა. მწვრთნელის მატჩებზე არდასწრების მიზეზი კი საკმაოდ უჩვეულო აღმოჩნდა — გუნდი რომ შეენარჩუნებინა, რეზო ძოძუაშვილი „სახალიჩოდ" თურქეთში დადიოდა. პირველი წრის დასრულების შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა — ფეხბურთელებს ოთხი თვის გადაუხდელი თანხა მისცეს და თითქმის გაქცეულები გუნდისკენ მოაბრუნეს. საქმე ისაა, რომ „მეტალურგს" რუსთავში მოქმედი სააქციო საზოგადოება „გორდას" სახით დიდი ხნის ნანატრი სპონსორი (უფრო სწორედ, სპონსორები) გამოუჩნდა.

მოკლედ, რუსთაველთა საქმე უკეთესობისკენ შემობრუნდა, მაგრამ ბევრი სპონსორის მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, დიდი მიზნებითა და ხმაურით გუნდში მისულებს უსახელოდ რომ დაუტოვებიათ იგი, ბუნებრივად დაგვებადება კითხვა — სტაბილური იქნება კი „მეტალურგის" სპონსორთა დახმარება? სწორედ ამ შეკითხვით დავიწყე საუბარი ერთ-ერთ მათგანთან, საქართველოს პარლამენტის წევრ ლაშა მინდელთან.

— ჯერ იმას გეტყვით, რომ მე ფეხბურთში ახალი კაცი არ გახლავართ — ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი ვარ. ამავე დროს, II ჯგუფში მოასპარეზე „აზოტის" ერთ-ერთი დამფუძნებელიც. ამჟამად „აზოტი" „მეტალურგის" ფარმ-კლუბია, ამ გაერთიანების მიზეზი „მეტალურგის" ფინანსური პრობლემები იყო. პრობლემების მოგვარება ოთხმა კაცმა — პაატა ქანდაურაშვილმა, ჩემმა ძმამ მინდია მინდელმა, ქალაქის საგადასახადო ინსპექციის უფროსმა ანდრო კოტეტიშვილმა და მე ვითავეთ. ჩამოვაყალიბეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა „გორდა", რომელიც აერთიანებს ამ ორ გუნდსა და ბავშვთა კლუბ „ხალიფს".

თქვენს კითხვაზე თამამად შემიძლია გიპასუხოთ, რომ ამჟამად ჩვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და მოთამაშეთა დავალიანებაც გავისტუმრეთ. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად რეალურად გავთვალეთ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები, გეტყვით: მე დიდი ხანია საფეხბურთო წრეში ვტრიალებ და ვიცი, გუნდის შენახვას რამდენი სჭირდება. მართალია, ყველაფრის წინასწარ გათვლა შეუძლებელია, მაგრამ ამ სეზონის ბოლომდე რომ პრობლემები არ გვექნება, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მჯერა, რომ შემდგომაც ასე გაგრძელდება.

**— თქვენი ფინანსებით როგორი გუნდის შექმნა შეგიძლიათ?**

— სანამ „დინამო" დღევანდელი სახით იარსებებს, მანამდე ყოველთვის მოვძებნით საშუალებას, გუნდი მეორე ადგილზე რომ დამკვიდრდეს. იმედია, ვითარება შეიცვლება, გარკვეული პარამეტრებით „დინამოს" გავუტოლდებით და მაშინ უკვე თბილისელთა კონკურენციაზეც ვიფიქრებთ.

**— ამისთვის, ალბათ დამეთანხმებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება დაგჭირდებათ. მითუმეტეს, რომ მოედნის უხარისხობის გამო შეხვედრების შინ ჩატარება აკრძალული გქონდათ...**

— ბუნებრივია, ეს ჩვენი საფიქრალია. დიდი სურვილი გვაქვს, „მეტალურგს" საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი სტადიონი და ბაზა რომ ჰქონდეს. მოედანი, იცით, როგორ მდგომარეობაშიც არის — მოუვლელობის გამო გაველანებულია. ახლა სტადიონზე მიწის შეტანა და დრენაჟის გაკეთებაა საჭირო. რუსთავის წარმოება-დაწესებულებების თანადგომის იმედიც გვაქვს. ხოლო რაც შეეხება თვითონ ბაზას, მას მშვენიერი ინფრასტრუქტურა გააჩნია.

**— მოედნის საფარის გაკეთება შარშანაც იგეგმებოდა. როგორც მახსოვს, ამის თაობაზე ერთ-ერთ უკრაინულ ფირმასთან ხელშეკრულებაც კი იყო გაფორმებული, თუმცა საქმე ადგილიდანაც არ დაძრულა...**

— მოლაპარაკებები დნეპროპეტროვსკელ სპეციალისტებთან გუნდის ძველმა ხელმძღვანელებმა აწარმოეს, მაგრამ უსახსრობის გამო საქმე ადგილიდან მართლაც არ დაძრულა. თუმცა, როგორც გითხარით, საწარმოთა თანადგომის იმედი გვაქვს და უკრაინელებთან კვლავ ვაპირებთ დაკავშირებას. იმას ვერ ვიტყვი, რომ დღეს სტადიონზე ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდეს, ჯერჯერობით მხოლოდ მოედნის ისეთ დონემდე მიყვანას ვფიქრობთ, რომ თამაშების ჩატარება შესაძლებელი იყოს. თუ ბედმა გაგვიღიმა და ევროპის რომელიმე თასის საგზური მოვიპოვეთ, მაშინ უკვე საქმეს სერიოზულად მოვკიდებთ ხელს.

**— სავსებით რეალურია, რომ „მეტალურგმა" ევროპაში ითამაშოს. ასეთ შემთხვევაში არა მარტო მოედნის საფარის, არამედ მთლიანად სტადიონის განახლება დაგჭირდებათ. უეფას მოთხოვნებს რუსთავის კი არა, თბილისის ეროვნული სტადიონიც კი ვერ პასუხობს...**

— დღეს ჩვენ ფირმას იმდენი თანხა არ გააჩნია, ამხელა საქმეს რომ შეწვდეს, მაგრამ ჩემსას კვლავ გავიმეორებ: რუსთავში არსებული წარმოება-დაწესებულებების დახმარებით და ნაწილობრივ ჩვენი თანხებით სტადიონს ევროპულ სტანდარტებამდე მივიყვანთ.

**— ქართველ სპონსორებს რატომღაც „სცხვენიათ" იმისა, რაც თქვენ ევროპულ კოლეგებს სულაც არ აწითლებთ — ფეხბურთი სპონსორებისთვის არა გასართობი, არამედ სერიოზული საქმიანობაა, რომლისგანაც მოგება უნდა ნახო, თორემ საფეხბურთო ბიზნესში აღარც ჩაებმებოდნენ. თქვენ თუ აპირებთ „მეტალურგში" საფეხბურთო ინდუსტრიის განვითარებას?**

— რომ ვთქვა, არა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. თავიდან მხოლოდ ფეხბურთის სიყვარული მამოქმედებდა, მაგრამ დღეს ვითარება შეიცვალა და, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, გუნდის შენახვისა და ფეხზე წამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ საფეხბურთო ინდუსტრიის განვითარებაა. ეს ფეხბურთის განვითარებასაც შეუწყობს ხელს და, რა თქმა უნდა, სპონსორთა შემოსავალსაც გაზრდის. მოკლედ რომ ვთქვა, ფეხბურთი ჩვენთვის სიყვარულიდან საქმედ იქცა.

**— ამ მხრივ კონკრეტულად ხომ არ გაგიკეთებიათ რაიმე?**

— ჯერჯერობით არა. ახლა „მეტალურგის" სიმბოლიკისა და ემბლემის შექმნას ვაპირებთ. ამის შემდეგ ფორმების მასიური გამოშვებაც იქნება შესაძლებელი და იმ საქმიანობის წამოწყებაც, რაზეც უკვე გესაუბრეთ. გუნდის გარეგნული იერსახის თაობაზე დიზაინერებთან უკვე გვქონდა მოლაპარაკება. ასე რომ, ვფიქრობ, „მეტალურგი" მალე მიიღებს ევროპული გუნდის სახეს.

მამუკა კვანტალიანი



## ყიზოს კოჭი მოურჩენია

ამასწინათ ყიზილაშვილთან ინტერვიუში მოგახსენეთ მისი მტკივანი კოჭის მორჩენისა და იმ ფსიქოლოგიური შიშის შესახებ, დათო რომ განიცდიდა. საუბედუროდ, მისი შიში გამართლდა: აგერ უკვე სამი ტურია, იგი მინდორზე არ გამოჩენილა. მიზეზი ისევ იმ კოჭის ტრავმაა, ზედ მოსკოვის ტურნირის წინ რომ გადაუბრუნდა:

— 8 აპრილს „ტორპედოსთან" მატჩში ერთ მომენტში მეკარეს შევეჯახე და ვიგრძენი, როგორ ამომიტრიალდა ფეხი. თამაშის ჩამთავრება ველარ შევძელი და ჩემს მაგივრად დემეტრაძე გავიდა. მას მერე თორმეტი დღე არ მივარჯიშია, ის კი არა, სიარულიც მიჭირდა. ახლა ტკივილმა გამიარა, კოჭიც ჩაცხრა და ვარჯიშსაც შევუდექი. უკვე ოთხი დღეა ვვარჯიშობ. ვფიქრობ, უახლოეს მატჩს „მარგვეთთან" 28 აპრილს ვითამაშებ კიდეც.

**— ჩვენთან ინტერვიუში მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, ყიზილაშვილი და გოგიჩაიშვილი მალე ალბათ უცხოეთში წავლენ სათამაშოდო. ისიც თქვა, ეს არც კვიპროსი იქნება და არც თურქეთიო. შენ ხომ არ გქონდა საუბარი ამის შესახებ „დინამოს" პრეზიდენტთან?**

— ჩვენ ვისაუბრეთ ამის შესახებ. მითხრა, რომ უცხოეთიდან წინადადებები არის, თუმცა კლუბი კონკრეტულად ჯერ არ დაუსახელებია. მალე ალბათ გაირკვევა, რომელ კლუბში გადავალ. გადასვლა კი ან სეზონის ბოლოსვე მოხდება, ანაც ცოტა მოგვიანებით.

## მუჯირიც მომჯობინებულა

თბილისის „დინამოს" და ახალგაზრდული ნაკრების [illegible] დავით მუჯირი უკვე [illegible] ხევარია, რაც აღარ თამაშობს. მიზეზი ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მიღებული ტრავმა გახლავთ. ტრავმა, რომელმაც ნიჭიერი ახალგაზრდა იძულებით დაასვენა, მეტად სერიოზული გამოდგა. მართალია ფეხბურთელმა თაბაშირი მოიხსნა, მაგრამ მარჯვენა ფეხის გადაბრუნების შედეგად დაზიანებული მყესები საბოლოოდ ჯერ არ მოშუშებია. გუნდის ექიმის ზაქრო თელიას თქმით, მწყობრში რომ ჩადგეს, დათოს სამიოდე კვირა კიდევ დასჭირდება. მანამდე კი უმცროსი მუჯირი დროს უქმად არ კარგავს და შეძლებისდაგვარად, დარბაზში ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ადგილი შესაძლებელია, ახალგაზრდა დინამოელი კლუბს ჩემპიონატის დამთავრებამდე შეუერთდეს.

## ასე ხუმრობენ ქუთაისში

აჩრდილი დაეხეტება რუსეთში, აჩრდილი „ტორპედოსი" — თამამად შეიძლება ცნობილი კომუნისტური გამონათქვამის გადაკეთება. ამასწინათ ირკუტსკის „ზვეზდაში" წასულ ტორპედოელებზე ვწერდით. ახლა კიდევ ორი ქუთაისელი — მამუკა მანაგაძე, წინა სეზონი რომ მოლდოვაში, ატაკის „ნისტრუში" გაატარა და 30 წლის გელა წიქარიშვილი, შარშან „ტორპედოში" რომ თამაშობდა, ნახოდკის „ოკეანეში" „ჩაიძირნენ" და იქაურ ქართველ ბომბარდირ ფორჩხიძეს, ტყიბულის „მეშახტეში" რომ გამოდიოდა, შეეხიდნენ. ქუთაისელთა კიდევ ერთი „უძღები შვილი", „ტორპედოს" აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი რეზო ბურკაძე კი ორთვიანი ვიზიტის შემდეგ მოსკოვიდან ქუთაისში დაბრუნებულა და უთქვამს, აშვეთიას გადასვლას „სპარტაკში" წინ აღარაფერი დაუდგებაო. ეს კი ძალიან არ მოსწონებია მის მაგივრად მთავარ მწვრთნელად დანიშნულ ჯემალ ხერხაძეს და აშვეთიას სადმე გაშვებაზე კატეგორიული უარი განუცხადებია. მოკლედ, ბუკლეტების ცნობილი სერიისა არ იყოს, ასე ხუმრობენ ქუთაისში...

# ქინქლაძის, „მანჩესტერ სიტის" და საქართველოს რეკლამა




### „სიტის" ყველა ქომაგს...

მსურს მადლობა მოგახსენოთ იმ კეთილგანწყობისათვის, მანჩესტერში ჩამოსვლის პირველი დღიდან რომ ვგრძნობ. მან ჩემს სამშობლოსთან, საქართველოსთან თითქოს მანძილი შეამცირა, რადგან აქ თავს ისე ვარ, როგორც სახლში.

ასევე ძალიან სასიამოვნოა უამრავი გულშემატკივრის ხილვა, მაისურებზე ჩემი ნომერი და გვარი რომ აწერიათ. „სიტის" მაღაზიის პერსონალმა ჩემთვის საგანგებო სიმბოლიკაც კი მოიგონა, რაც ძალიან სასიამოვნოა, რადგან იგი ჩემი სახელის, გიოს გარდა, საქართველოს ეროვნულ დროშასაც მოიცავს.

მოუთმენლად ველი მომავალ სეზონს, როდესაც ორი ალმის დაცვა მომიწევს — ერთი, ლურჯი, „მანჩესტერ სიტისა", მეორე კი საქართველოსი — მე ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ინგლისის წინააღმდეგ საქართველოს წარმომადგენელი ვიქნები.

მხარდაჭერისთვის კვლავ მადლობას მოგახსენებთ.

გიო ქინქლაძე

„მანჩესტერ სიტის" ოფიციალური ჟურნალის აპრილის ნომერში გულშემატკივრებისადმი გიორგი ქინქლაძის სწორედ ეს მოკლე მიმართვაა დაბეჭდილი. ვფიქრობთ მას დიდი კომენტარი არ სჭირდება. მასში კარგად ჩანს, როგორც გიოს დამოკიდებულება ქომაგებისადმი, ისე მათი გიოსადმი; სჩანს ქართველი ლეგიონერის პოპულარობა და ცოტა რამ იქაურ ბიზნესზე. ისე კი, ამ რეკლამამ რომ სათანადოდ გაამართლა, ფაქტია: როგორც დავით მჭედლიშვილმა ლონდონიდან გვაცნობა, „უიმბლდონთან" ლონდონში თამაშზე ჩასულ მანჩესტერელ გულშემატკივართა დიდ ნაწილს სწორედ ჩვენი ქვეყნის დროშიანი მაისური ცმია. მკითხველს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს ფოტოს: თუ როგორ გამოიყურება გიოს გვარი (KING KLADZE) მის 7-ნომრიან მაისურზე...

---

ევროპის გავლენიანმა სპორტულმა გამოცემებმა დაასახელეს კონტინენტის, მარტის სიმბოლური ნაკრებებიც. წინა თვისგან განსხვავებით გიორგი ქინქლაძე B ნაკრებში მოხვდა. მის გარდა იქ შეიყვანეს: ოლივერ კანი (ბაიერნი), პიეტრო ვერხოვოდი (იუვენტუსი), ალან რაიტი (ასტონ ვილა), კრისტიან ციგე (ბაიერნი), ანდრეი კანჩელსკისი (ევერტონი), მეჰმედ შოლი (ბაიერნი), კორენტრინ მარტინი (ოსერი), ვიოლა (ვალენსია), ალან შირერი (ბლექბერნი), რობერ პირსი (მეცი).

A ნაკრებში კი მოხვდნენ: იან სტეისკალი (სლავია), დან პეტრესკუ (ჩელსი), იური ნიკიფოროვი (სპარტაკი), ჟერომ ბონი (მონპელიე), პრედრაგ მიატოვიჩი (ვალენსია), საბრი ლამუში (ოსერი), ედგარ დავიდსი (აიაქსი), ერიკ კანტონა (მანჩესტერ იუნაიტედი), კრისტოფ დუგარი (ბორდო), კშიშტოფ ვარუიხა (პანათინაიკოსი), რობი ფაულერი (ლივერპული).

## იტალია

### სამპდორია 3:3 ლაციო

38 000 მაყურებელი

სამპდორია: ძენგა, ბალერი (ფრანჩესკეტი 90), ევანი, ინვერნიცი (მანიერო 69), საკეტი, მიხაილოვიჩი, ზეედორფი. კარემბუ, კიეზა, რ. მანჩინი (ბერტარელი 92), სალსანო

ლაციო: მარკეჯანი, გოტარდი, ფავალი, დი მატეო, გრანდონი, ნეგრო, ესპოზიტო (ფრანჩესკინი 73), მარკოლინი, კაზირაგი, ფუზერი (პიოვანელი 82), სინიორი

გოლი: კაზირაგი (19), ბალერი (26), სინიორი (36, 65), მანჩინი (54), კიეზა (88 პ)

გაფრთხილება: ბალერი, მარკოლინი, ფავალი, ფუზერი

### ტორინო 1:1 მილანი

20 000 მაყურებელი

ტორინო: ბიატო, რ. ლონგო, მილანეზე (სიმო 78), ფალკონე, მალტალიატი, მეცანო, ანგლომა, ბერნარდინი, რიციტელი (ბერნარდი 40), კრისტალინი, კარიჩი (სომეზე 65)

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო (ტასოტი 75), დესაი, ვეა, რ. ბაჯო, სიმონე (დი კანიო 46)

გოლი: მალდინი (67), კრისტალინი (81 პ)

გაფრთხილება: ერანიო, ალბერტინი, ტასოტი

### კალიარი 2:0 ვიჩენცა

18 000 მაყურებელი

კალიარი: აბატე, ვენტურინი (პუშედუ 80), პანკარო, ვილა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, სანა (ბრესანი 89), სილვა (ტრიბუნა 86), ლანტინიოტი, ონილი

ვიჩენცა: მონდონი, სარტორი, დიგნაციო, დი კარლო, ბიორკლუნდი, ვივიანი, ლომბარდინი (ამერინი 70), მ. როსი, მურჯიტა, მაინი, ამბროზეტი

გოლი: პანკარო (60), ონილი (75)

გაფრთხილება: ონილი, ვივიანი

### კრემონეზე 0:0 პიაჩენცა

8 000 მაყურებელი

კრემონეზე: რაცეტი, გუალკო, ან. ორლანდო, ჯანდებიაჯი, დალ ინია (გარსია 62), ვერდელი, პეტრაკი (ფერარონი 46), პეროვიჩი, ფლორიანჩიჩი, მასპერო, ფანტინი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მ. კონტე, ლუჩი, ტურინი, მორეტი (კაპელინი 62), კაჩა, ა. კარბონე, პიოვანი

გაფრთხილება: ფერარონი, ფლორიანჩიჩი, როსინი, პიოვანი, კარბონე, პოლონია

### ფიორენტინა 1:0 ატალანტა

35 394 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, კოისი (ალ. ორლანდო 40), პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, რობიატი (სოტილი 80), შვარცი, ბანკელი, რუი კოშტა, ბაიანო (ბეტონი 14)

ატალანტა: პინატო, როტელა, ლუპი (პიზანი 54), ფორტუნატო, ვალენტინი, ძანკი (კონტე 71), სგრო, გალო, ტოვალიერი, ბონაჩინა, მორფეო (სალვატორი 60)

გოლი: ბანკელი (18)

გაფრთხილება: სალვატორი

### ინტერი 1:2 იუვენტუსი

75 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, პისტონე (ბერგომი 68), კარლოსი, ფრეზი, ფესტა, მ. პაგანინი, ფონტოლანი, ინსი, ბრანკა, ბ. კარბონე, კაიო (განცი 60)

იუვენტუსი: პერუცი (რამპულა 62), კარერა, პესოტო, ა. კონტე (მაროკი 79), ვერხოვოდი, ტაკინარდი, სოუზა, დეშამპი, პადოვანო, იუგოვიჩი, ლომბარდო (დი ლივიო 79)

გოლი: ლომბარდო (5), კონტე (55), განცი (79)

გაფრთხილება: კაიო, პაგანინი, ინსი, ტაკინარდი

### პადოვა 2:3 უდინეზე

11 521 მაყურებელი

პადოვა: დალ ბიანკო, კოპოლა, გაბრიელი, კუიჩი, ჯამპიეტრო (როზა 46), სერაო, კრეეკი (ვან უტრეხტი 46), ნუნციატა, ამორუზო, ლონგი (ფიორე 80), ვლაოვიჩი

უდინეზე: გრეგორი (ბატისტინი 51), პელეგი, ბერტოტო, ამეტრანო (მატრეკანო 30), კალორი, ბია, როსიტო, დეზიდერი, ბირჰოფი, სტროპა, პოჯი (შალიმოვი 74)

გოლი: ბირჰოფი (9, 19 პ), კუიჩი (11), პოჯი (45), ამორუზო (48)

გაფრთხილება: კოპოლა, გაბრიელი, ნუნციატა, სტროპა

### პარმა 3:1 ბარი

22 700 მაყურებელი

პარმა: ბუფონი, მუსი, დი კიარა (ბენარივო 42), კასტელინი, აპოლონი, კანავარო, ბრამბილა, დ. ბაჯო (პინი 57), კრიპა, ძოლა (პირო 51), ინძაგი

ბარი: ფონტანა, გაუტიერი (ფიკინი 53), მანგონე (ანდრისანი 81), ყერსონი, რიპა, მონტანარი, პარენტე (ბრიოსკი 70), ინგესონი, ანდერსონი, პედონე, პროტი

გოლი: ბაჯო (7), ანდერსონი (11), ინძაგი (25), პირო (91)

გაფრთხილება: პირო, ბენარივო, ინძაგი, დი კიარა, რიპა, ფიკინი, ინგესონი

### რომა 4:1 ნაპოლი

49 685 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, ე. ანონი, კარბონი, კაპიოლი, ალდაირი, ლანა, მორიერო (დი ბიაჯო 68), ტერნი, ტოტი (კუტოსი 86), ჯანინი, დელვეკიო

ნაპოლი: ტალიალატელა, ბორდინი, პარი, ბალდინი, კოლონეზე, კრუსი, ბუზო, მ. ლონგო, აგოსტინი (იმბრიანი 46), პიცი (პოლიკანო 60), პეკია

გოლი: დელვეკიო (41, 80, 86), კრუსი (49, საკ. კარში), პეკია (72)

გაფრთხილება: ტოტი, ჯანინი, ბალდინი, ლონგო, კოლონეზე

გაძევება: კრუსი (78)

### ბომბარდირები:

პროტი (ბარი) — 22
სინიორი (ლაციო) — 22
კიეზა (სამპდორია) — 20
ბატისტუტა (ფიორენტინა) — 18
ბრანკა (ინტერი) — 18
ბირჰოფი (უდინეზე) — 16

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 31 | 19 | 10 | 2 | 50:19 | 67 |
| იუვენტუსი | 31 | 18 | 6 | 7 | 53:31 | 60 |
| ფიორენტინა | 31 | 16 | 8 | 7 | 50:34 | 56 |
| პარმა | 31 | 14 | 10 | 7 | 42:29 | 52 |
| რომა | 31 | 14 | 9 | 8 | 44:31 | 51 |
| ლაციო | 31 | 14 | 8 | 9 | 60:37 | 50 |
| ინტერი | 31 | 14 | 8 | 9 | 48:29 | 50 |
| სამპდორია | 31 | 13 | 9 | 9 | 54:44 | 48 |
| ვიჩენცა | 31 | 13 | 8 | 10 | 33:33 | 47 |
| უდინეზე | 31 | 11 | 7 | 13 | 38:43 | 40 |
| კალიარი | 31 | 10 | 7 | 14 | 31:45 | 37 |
| ატალანტა | 31 | 10 | 6 | 15 | 34:46 | 36 |
| ნაპოლი | 31 | 8 | 11 | 12 | 25:39 | 35 |
| პიაჩენცა | 31 | 8 | 9 | 14 | 27:47 | 33 |
| ბარი | 31 | 7 | 7 | 17 | 43:64 | 28 |
| კრემონეზე | 31 | 5 | 11 | 15 | 35:48 | 26 |
| ტორინო | 31 | 5 | 11 | 15 | 27:43 | 26 |
| პადოვა | 31 | 6 | 3 | 22 | 39:71 | 21 |

## ესპანეთი

37-ე ტური. 20-21 აპრილი. ატლეტიკი — ტენერიფე 2:0; სალამანკა — ალბასეტე 2:4; კომპოსტელა — სოსიედადი 2:0; ვალენსია — სანტანდერი 2:1; ბარსელონა — ატლეტიკო 1:3; ბეტისი — ხიხონი 2:5; ოვიედო — სევილია 2:3; რეალი — ესპანიოლი 1:2; რაიო ვალეკანო — სელტა 1:3; სარაგოსა — დეპორტივო 2:3; მერიდა — ვალიადოლიდი 1:0

პირველ წრეში, მადრიდში „ატლეტიკომ" „ბარსელონას" 3:1 მოუგო, თასის ფინალში 1:0, მეორე წრეში, ბარსელონაში — 3:1. რა ქნას მეტი? სხვა გუნდებთან კატალონიელებზე უკეთ თამაშობს, ცხრილში წინაა და აგერ ბატონო პირადი შეხვედრებიც. მოკლედ, შაბათს „ნოუ კამპზე", მატჩში, რომელშიც ესპანეთის ტიტულის ორი უმთავრესი მოცილე ხვდებოდა, ბევრი რამ გაირკვა. „ატლეტიკომ" „ბარსა" 6 ქულით ჩამოიტოვა და ახლა, ალბათ, შანს ხელიდან აღარ გაუშვებს.

ანგარიში უკვე გითხარით: 3:1 სტუმართა სასარგებლოდ. ისე, გატანილ ბურთებს თუ დავითვლით, 4:1 უნდა ყოფილიყო, რადგან მეორე ტაიმში მადრიდელებს ერთი გოლი არ ჩაუთვალეს. რატომ, ვერ გეტყვით. მომენტებით კი პირველ ნახევარში მასპინძლებმა აჯობეს. ჰაჯი მარჯვენა ფრთაზე დაქროდა, დელა პენია შუაში, მარცხნივ ფიგუ ოდნავ უარესად. წინ წაწეულ ჯორდი კრუიფს მკაცრად მეთვალყურეობდნენ, ამიტომ ბოლო დარტყმას უფრო ხშირად უკნიდან შევარდნილი სერხი ასრულებდა, მაგრამ უმარილოდ. ანგარიში „ატლეტიკომ" გახსნა: მარცხნიდან კამინეროს ჩაწოდებული რობერტომ ბუსკეტის კარში შეაგდო. შემდეგ ჯორდიმ კეფით, ნახტომში, კარისკენ ზურგით რომ იდგა, ისე გაქვითა. ამას კვლავ მასპინძელთა შეტევები და სახიფათო მომენტები მოჰყვა. დელა პენიას ერთი ისეთი გაუცუდდა, მხოლოდ უბედობას რომ დააბრალებ.

მეორე ტაიმი „ატლეტიკოსი" იყო. სტუმრები დაცვაშიც მაგრად დადგნენ და წინაც ივარგეს. „ბარსას" კი მეკარემაც უმტყუნა, დაცვაც აერ-დაერიათ და შეტევაშიც ფრთებგაცვლილი ჰაჯი და ფიგუ ისე კარგად ველარ ირჯებოდნენ. ვისკაინოს და ბიაჯინის გოლებმა ანგარიში საბოლოო და შთამბეჭდავი გახადა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 37 | 23 | 8 | 6 | 65:26 | 77 |
| ბარსელონა | 37 | 20 | 11 | 6 | 62:33 | 71 |
| ვალენსია | 37 | 22 | 4 | 11 | 69:47 | 70 |
| ესპანიოლი | 37 | 18 | 12 | 7 | 54:32 | 66 |
| ტენერიფე | 37 | 17 | 10 | 10 | 65:50 | 61 |
| ბეტისი | 37 | 15 | 14 | 8 | 57:45 | 59 |
| დეპორტივო | 37 | 15 | 12 | 10 | 60:36 | 57 |
| რეალი | 37 | 16 | 9 | 12 | 65:50 | 57 |
| კომპოსტელა | 37 | 17 | 6 | 14 | 45:48 | 57 |
| სოსიედადი | 37 | 14 | 11 | 12 | 48:47 | 53 |
| სელტა | 37 | 11 | 13 | 13 | 42:45 | 46 |
| ოვიედო | 37 | 11 | 11 | 15 | 39:50 | 44 |
| ხიხონი | 37 | 12 | 7 | 18 | 49:50 | 43 |
| ატლეტიკი | 37 | 10 | 13 | 14 | 37:48 | 43 |
| სანტანდერი | 37 | 10 | 13 | 14 | 41:57 | 43 |
| სარაგოსა | 37 | 9 | 14 | 14 | 44:53 | 41 |
| სევილია | 37 | 9 | 13 | 15 | 37:51 | 40 |
| ალბასეტე | 37 | 10 | 9 | 18 | 50:67 | 39 |
| ვალეკანო | 37 | 10 | 8 | 19 | 41:66 | 38 |
| ვალიადოლიდი | 37 | 8 | 13 | 16 | 44:55 | 37 |
| მერიდა | 37 | 8 | 12 | 17 | 32:53 | 36 |
| სალამანკა | 37 | 6 | 9 | 22 | 44:75 | 27 |

## გენერლის ახალი კონტრაქტი

საქართველოს ნაკრების ხვალინდელი სპარინგ-პარტნიორის რუმინეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ ახალ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამგვარად, თანამდებობის მიტოვებიდან ერთი თვის შემდეგ იორდანესკუ კვლავ საქმეში ჩაერთო. მწვრთნელის პოსტს კი იგი პროტესტის ნიშნად სტოვებდა — არ სურდა ყოფილიყო იმ ქვეყნის ნაკრების თავკაცი, რომლის ჩემპიონატშიც თამაშები ჩაწყობილია. მან ბინძური გარიგებების წინააღმდეგ გაილაშქრა, ფეხბურთის ფედერაციამ კი ყური არ ათხოვა და გამოძიება არ წამოიწყო. საქმეში ქვეყნის პრეზიდენტი იონ ილიესკუ ჩაერია. სახელმწიფოს მეთაურმა პირადად სთხოვა იორდანესკუს თანამდებობაზე დარჩენა. რუმინეთი, მოგეხსენებათ, პოსტ-სოციალისტური ქვეყანაა, ასეთებში კი ხელისუფალთა ჯადოსნური სიტყვა სჭრის. მწვრთნელი მოტყდა და მუშაობის გაგრძელებას დაყაბულდა.

— აქამდე ფედერაციას და იორდანესკუს შორის სიტყვიერი თანხმობა იყო, ახლა კი საბუთიც ხელმოწერილია. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამშრომლობა გარანტირებული გვაქვს — შვებით ამოისუნთქა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ.

სანდუმ განაცხადა, რომ მწვრთნელის ამოცანაა გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაყვანა. ამგვარ დავალებას მან ერთხელ უკვე გაართვა თავი. ის კი არა, იქ, ამერიკაში, მეოთხედფინალსაც მიაღწია, რისთვისაც რუმინეთის არმიის გენერლობა მიანიჭეს.

ახალი კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ ქვეყნის პარლამენტარებმა იორდანესკუს რუმინეთის ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშების საქმეს გამოკვლევა აღუთქვეს. არმიის და პოლიციის გუნდების პრეზიდენტებმა კი განაცხადეს, მისი ეჭვები უსაფუძვლოაო.

## მართალი «დინამო»

სექტემბერში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის წინამძღოლად კიევს ჩასულმა ესპანელმა მსაჯმა ანტონიო ლოპეს ნიეტომ მასპინძლებს ბეწვის ქურქებისა და ქუდების ყიდვაში დახმარება სთხოვა. ყველაფერი ციმციმ აახლეს, ოღონდ ნიეტომ ჩეკს დახედა, იქ 30 ათასი დოლარი ამოიკითხა და უეფაში იჩივლა, კიეველები მქრთამავდნენო. „სარბიელისთვის" ცხადია უცნობია, მასპინძლებმა არბიტრს ჩეკი რად აჩვენეს. ამით უთხრეს, 30 ათასად გქრთამავთო თუ უბრალოდ ქურქების სათასურის გადახდა მოსთხოვეს. ასე იყო თუ სხვაგვარად, უეფამ კიევის „დინამო" ლიგის გათამაშებიდან მოხსნა და ზედ სამწლიანი დისკვალიფიკაციაც დააყოლა. ამის შემდეგ უკრაინელებმა რკინის ქალამნები ჩაიცვეს, სამართლის საძებნელად შვეიცარიას გაეშურნენ და იპოვეს კიდეც. უფრო სწორად, სამართალს რა ბედი ეწია, არ ვიცით, უეფას გადაწყვეტილება კი შეიცვალა.

— ვერდიქტი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ შევცვალეთ, რომ უკრაინაში ფეხბურთის განვითარება არ ჩაგვეკლა — თქვა ალმასკომის სხდომიდან გამოსულმა უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა.

აიგნერის ასეთი პოზიცია უკრაინის დედაქალაქში არ ეამათ. „დინამოს" პრეს ატაშემ ალექსეი სემენენკომ განაცხადა:

— უეფას გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ უდანაშაულონი ვიყავით. ჩვენი სიმართლის დამტკიცება ნებისმიერ წამს შეგვეძლო. ამიტომაც მოიქცნენ ჟენევაში უპრეცენდენტოდ (სემენენკოს, ეტყობა, თბილისის „დინამოს" ამბავზე არაფერი სმენია) და საკუთარი განაჩენი შეცვალეს.

შვეიცარიიდან მიღებულმა ცნობამ კიეველი ფეხბურთელები გამოაცოცხლა.

— ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა ქვეყნის ჩემპიონები გავხდეთ და ჩემპიონთა ლიგისკენ ხელახლა გავიკაფოთ გზა — თქვა ნახევარმცველმა იური მაქსიმოვმა.

„დინამო" უკრაინის პირველობაზე ცხრილის სათავეშია. იგი ორი ქულით უსწრებს ოდესის „ჩერნომორეცს".

## ჯორდიმ თქვა, ჰოლანდიელი ვარო


წადი და სამშობლო ასახელე, შვილო!

ხვალ ევროპას ამხანაგური მატჩების ტალღა გადაუვლის. ლამის ყველა ნაკრები თამაშობს. თამაშობენ ჰოლანდიელებიც, რომლებიც როტერდამში გერმანელებს მასპინძლობდნენ. ამ შეხვედრაში შედგება იოჰან კრუიფის 22 წლის ვაჟის, „ბარსელონას" თავდამსხმელის ჯორდის დებიუტი ნაკრებში. უმცროსი კრუიფი კარგა ხანს იყო ჩუმად. იგი რომ ესპანეთის მოქალაქეცაა, იქ გაზრდილი და, როგორც ჩანს, ვერ გადაუწყვიტა, რომელი სამშობლოს გუნდში ეთამაშა. ახლა ყველაფერი გაირკვა. ჯორდი ცნობილი მამის დებიუტიდან 30 წლის შემდეგ ჰოლანდიის ნარინჯისფერ მაისურს მოირგებს. ამის გარდა, მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა გამოიძახა: ვან დერ ზარი (აიაქსი), [illegible] (ფეიენო-რდი), ბლინდი, ბოგარდი, რაიციგერი, [illegible] დე ბური (აიაქსი), ვიჩხე (ბორდო), ზეედორფი (სამპდორია), კოკი (ეინდჰოვენი); ჰუვსტრა (აიაქსი), ტაუმენტი (ფეიენოორდი), მიულდერი (შალკე 04), ბერხკამპი (არსენალი).

ირლანდიელები პრაღაში ჩეხებს ხვდებიან. კუნძულელებს არ ეყოლებათ მუხლნატკენი გერი კელი „ლიდსიდან" და ჯეისონ მაკატერი „ლივერპულიდან", კოჭნატკენი სტივ სტონტონი „ასტონ ვილადან", ასევე დამავებული ტერი ფილანი, კეთ ონილი და მეკარე ალან კლი. მათ გარდა ჩეხეთს ვერ ჩავა ტონი კასკარინო, რომელსაც „მარსელში" მნიშვნელოვანი თამაში აქვს და არ უშვებენ.

— სიტუაციას კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი და დავასკვენი, რომ გუნდში მაინც ბევრი გამოცდილი მოთამაშე მეყოლება, ამიტომ დაშავებულთა ნაცვლად, ვინძლო, ახალწვეულების წაყვანა ღირდეს. — თქვა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ.

ინგლისში კი ფილ ნევილს იმედი ჰქონდა, რომ ნაკრებში ძმასთან, გერისთან ერთად ითამაშებდა, მაგრამ ხუთშაბათს კოჭი იტკინა და ხვალ ხორვატებთან ვერ ითამაშებს. ამგვარად, იგი მიემატა დაშავებულებს ლეს ფერდინანდსა და რობერტ ლის. საოპერაციოა ალან შირერიც, ასე რომ, ტერი ვენეიბლზს თავდასხმაში რობი ფაულერის და ტედი შერინგემის დუეტის გაყვანა მოუწევს.

## კაპელოს ფული არ მოაკლდება

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მომავალი სეზონიდან „სამეფო გუნდს" სათავეში ჩაუდგება იტალიელი ფაბიო კაპელო.

— „მილანში" მრავალი წლის წარმატებული მუშაობის შემდეგ კაპელოს თავისი უნარის დამტკიცება ევროპის სხვა დიდ კლუბში სურს. იგი იმ ყაიდის მწვრთნელია, ესპანეთის ტიტულისა და ჩემპიონთა თასის მოსაპოვებლად რომ გვჭირდება. ჩემპიონთა თასი ხომ 30 წელიწადია, არ მოგვიგია — თქვა ტელევიზიით გამოსვლისას სანსმა.

ცნობილი გახდა, რომ თუ კაპელო „რეალს" ესპანეთის პირველობას მოაგებინებს, მის ორწლიან კონტრაქტს ერთი წელიც მიემატება. რაც შეეხება ანაზღაურებას, იგი მწვრთნელს „მილანთან" შედარებით სამჯერ მეტი ექნება — 300 მილიონი პესეტა სეზონში.

მადრიდში გადასვლამდე კაპელოს ერთი საქმელა აქვს დასასრულებელი: ბოლო ხუთ სეზონში „მილანი" მეოთხედ უნდა გახადოს იტალიის ჩემპიონი.

## საფრანგეთი

35-ე ტური. 19-20 აპრილი. ბასტია — ოსერი 1:1, ლილი — ნიცა 1:0, სენტ ეტიენი — მეცი 1:1, გინგამი — რენი 0:0, გენიონი — ლიონი 0:0, კანი — მონპელიე 2:1, ნანტი — სტრასბური 2:0, ბორდო — ლანსი 0:0, მონაკო — ლე ავრი 2:1. პარი სენ-ჟერმენი — მარტიგი სამშაბათს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსერი | 35 | 20 | 5 | 10 | 61:28 | 65 |
| პსჟ | 34 | 18 | 9 | 7 | 58:32 | 63 |
| მეცი | 35 | 17 | 11 | 7 | 38:37 | 62 |
| მონაკო | 35 | 17 | 10 | 8 | 53:33 | 61 |
| ლანსი | 35 | 15 | 14 | 6 | 40:24 | 59 |
| მონპელიე | 35 | 16 | 9 | 10 | 48:37 | 57 |
| რენი | 35 | 13 | 14 | 8 | 40:35 | 52 |
| გინგამი | 35 | 13 | 13 | 9 | 32:27 | 52 |
| ნანტი | 34 | 13 | 11 | 10 | 39:37 | 50 |
| სტრასბური | 35 | 13 | 11 | 11 | 44:39 | 50 |
| ლიონი | 35 | 9 | 17 | 9 | 36:36 | 44 |
| ბასტია | 35 | 12 | 8 | 15 | 42:45 | 44 |
| ლე ავრი | 34 | 11 | 9 | 14 | 31:41 | 42 |
| კანი | 35 | 11 | 7 | 17 | 40:48 | 40 |
| ბორდო | 34 | 10 | 7 | 17 | 39:48 | 37 |
| ნიცა | 35 | 9 | 9 | 17 | 32:43 | 36 |
| სენტ ეტიენი | 35 | 6 | 15 | 14 | 34:53 | 33 |
| ლილი | 35 | 7 | 12 | 16 | 24:47 | 33 |
| გენიონი | 35 | 6 | 13 | 16 | 24:45 | 31 |
| მარტიგი | 33 | 7 | 4 | 22 | 23:53 | 25 |

### თასების თასი

18 აპრილი. საპასუხო მატჩები

პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) 1:0 (1:0)

რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) 3:0 (1:1)

## კანტონა საუკეთესოა

ინგლისელმა ჟურნალისტებმა, ცოტა ხნის წინ ერიკ კანტონას თავიანთი ქვეყნის ფეხბურთიდან გაძევებას რომ ითხოვდნენ, შაბათს იგი წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი ფორვარდი მხოლოდ ბრწყინვალე თამაშისთვის როდი უცნიათ წლის კაცად. ალბიონელ ფეხბურთზე მწერალთ, დისკვალიფიკაციის მერე, მისი საქმისადმი დამოკიდებულება მოსწონებიათ. თავნება სპორტსმენი, რომელმაც შარშან იანვარში, მატჩის დროს წინა რიგში მჯდომი „კრისტალ პალასის" გულშემატკივარი დაწიხლა, წლეულს ზნეშეცვლილია და საყოველთაო გმირადაა ქცეული. თავად კანტონამ განაცხადა, ახლა ჩემი თავითა და ქვეყნით [illegible]ლოჯსად ვამაყობო. „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა კი, როგორც თავად ბრძანა, ბრიტანული სამართლიანობისა ხელახლა იწამა.

## ავსტრია

29-ე ტური. 20-21 აპრილი. გრაცერი — ტიროლი 1:3, ადმირა-ვაკერი — შტურმი 0:2, რიდი — ზალცბურგი 1:1, ფორვერტსი — აუსტრია 2:2, რაპიდი — ლინცერი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 28 | 17 | 5 | 6 | 47:28 | 56 |
| შტურმი | 28 | 17 | 4 | 7 | 51:26 | 55 |
| ტიროლი | 28 | 15 | 5 | 8 | 53:32 | 50 |
| გრაცერი | 28 | 12 | 9 | 7 | 34:27 | 45 |
| აუსტრია | 29 | 11 | 8 | 10 | 35:26 | 41 |
| ლინცერი | 28 | 10 | 7 | 11 | 27:26 | 37 |
| რიდი | 28 | 8 | 11 | 9 | 33:41 | 35 |
| ზალცბურგი | 28 | 7 | 12 | 9 | 38:40 | 33 |
| ადმირა | 29 | 6 | 11 | 12 | 29:46 | 29 |
| ფორვერტსი | 28 | 0 | 4 | 24 | 19:74 | 4 |

## გერმანია

29-ე ტური. 19-21 აპრილი. კარლსრუე — კაიზერსლაუტერნი 0:0; ურდინგენი — ფრაიბურგი 3:1; ვერდერი — შტუტგარტი 2:2; ბაიერნი — აინტრახტი 1:1; კიოლნი — ზანქტ პაული 1:0; ჰანზა — მიუნხენი 0:3; ფორტუნა — დორტმუნდი 1:2; შალკე — მიონხენგლადბახი 3:3. ჰამბურგი — ლევერკუზენი ოთხშაბათს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 29 | 18 | 4 | 7 | 58:36 | 58 |
| დორტმუნდი | 28 | 16 | 9 | 3 | 63:28 | 57 |
| გლადბახი | 29 | 14 | 7 | 8 | 47:44 | 49 |
| შალკე | 28 | 9 | 14 | 5 | 34:31 | 41 |
| მიუნხენი | 29 | 10 | 10 | 9 | 46:40 | 40 |
| ჰანზა | 28 | 10 | 10 | 8 | 42:37 | 40 |
| შტუტგარტი | 29 | 9 | 13 | 7 | 54:52 | 40 |
| კარლსრუე | 29 | 9 | 11 | 9 | 41:40 | 38 |
| ჰამბურგი | 28 | 9 | 11 | 8 | 39:41 | 38 |
| ვერდერი | 29 | 8 | 14 | 7 | 32:34 | 38 |
| ფრაიბურგი | 29 | 9 | 8 | 12 | 25:36 | 35 |
| ლევერკუზენი | 27 | 7 | 12 | 8 | 30:25 | 33 |
| ზანქტ პაული | 29 | 8 | 9 | 12 | 38:44 | 33 |
| კიოლნი | 29 | 6 | 13 | 10 | 25:30 | 31 |
| ფორტუნა | 29 | 6 | 13 | 10 | 30:44 | 31 |
| აინტრახტი | 29 | 6 | 10 | 13 | 39:56 | 28 |
| კაიზერი | 29 | 4 | 15 | 10 | 24:35 | 27 |
| ურდინგენი | 29 | 3 | 11 | 15 | 28:46 | 20 |

## რუსეთი

მე-8 ტური. ტორპედო — ლოკომოტივი 1:2, როსტსელმაში — ჩერნომორეცი 4:0, ზენიტი — ბალტიკა 2:2, ჟემჩუჟინა — ალანია 0:0, კრილია — ტექსტილშჩიკი 1:0, სპარტაკი - ლადა 1:0, კამაზი — ცსკა 0:2, ურალმაში — ნოვგოროდი 3:0, დინამო — როტორი 0:1

ჩემპიონატში შვიდი უშედეგო მატჩის შემდეგ ბოლოსდაბოლოს თავისი პირველი გოლი გაიტანა მოსკოვის „ლოკომოტივმა". ეს მათმა კაპიტანმა კოსოლაპოვმა თამაშის მე-13 წუთზე გაახერხა. ტორპედოელმა აგაშკოვმა ეს გოლი პირველ ტაიმშივე გაქვითა. მერე ძირითადად „ტორპედო" უტევდა, მან სამი ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენა და დაისაჯა კიდეც — ბოლო წუთზე „ლოკომოტივის" ნახევარმცველმა ელიშევმა მეორე ბურთი შეაგდო.

პირველი თამაში მოიგო „ურალმაშმაც", რომელმაც საკუთარ დათოვლილ მოედანზე ნოვგოროდელები გაანადგურა.

სოჭში ლიდერმა „ალანიამ" ერთ-ერთ აუტსაიდერ „ჟემჩუჟინასთან" მოულოდნელად ორი ქულა დაკარგა. ვლადიკავკაზელებმა ვერაფერი მოუხერხეს სოჭელთა დაცვას, ანერვიულდნენ და სამი ყვითელი და ერთი წითელი (პაგაევი) ბარათი მიიღეს. ლიდერის ხელის მოცარვით ისარგებლა „კრილია სოვეტოვმა" და მაკეევის გოლის წყალობით მოპოვებული გამარჯვებით ლიდერს დაეწია.

მოსკოვში „სპარტაკს" გაუჭირდა „ლადასთან" გამარჯვება. მეორე ტაიმში „სპარტაკი" მთელი გუნდით გადავიდა იერიშზე. მცველ ნიკიფოროვის ერთი ძლიერი დარტყმული ძელს მოხვდა, მეორე — მილიციელს. 78-ე წუთზე ციმბალარ-ტიხონოვის კომბინაცია გოლით დაამთავრა შეცვლაზე შესულმა 19 წლის შირკომ და ახლა „სპარტაკი" პოტენციური ლიდერია, „ლადა" კი ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ არ მოუგია.

ნელ-ნელა შედის ფორმაში „როტორი", რომელმაც ოთხშაბათს თასის მეოთხედფინალში ცსკა-ს დამარცხების შემდეგ მოსკოვში „დინამოც" მიაყოლა. გოლი ბერკეტოვმა გაიტანა. ამგვარად, რუსეთის ჩემპიონატში დაუმარცხებელი აღარავინაა.

რუსეთის თასზე 30 აპრილს და 11 მაისს ნახევარფინალებია: დინამო — ლოკომოტივი, სპარტაკი — როტორი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 8 | 5 | 2 | 1 | 15:8 | 17 |
| კრილია | 8 | 5 | 2 | 1 | 8:3 | 17 |
| სპარტაკი | 7 | 5 | 1 | 1 | 10:2 | 16 |
| ცსკა | 8 | 5 | 1 | 2 | 10:5 | 16 |
| როტორი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:5 | 15 |
| დინამო | 8 | 3 | 4 | 1 | 8:5 | 13 |
| როსტსელმაში | 8 | 3 | 3 | 2 | 13:8 | 12 |
| ზენიტი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| ნოვგოროდი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:8 | 11 |
| ტორპედო | 8 | 2 | 4 | 2 | 7:9 | 10 |
| ლოკომოტივი | 8 | 1 | 5 | 2 | 2:4 | 8 |
| ბალტიკა | 8 | 1 | 5 | 2 | 7:10 | 8 |
| ჩერნომორეცი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:11 | 7 |
| ურალმაში | 8 | 1 | 3 | 4 | 5:8 | 6 |
| ტექსტილჩიკი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:6 | 5 |
| კამაზი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:14 | 5 |
| ჟემჩუჟინა | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | 5 |
| ლადა | 8 | 0 | 4 | 4 | 3:10 | 4 |

# დღეს ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება



FRANCE 98

გთავაზობთ ამ კონტინენტების შესარჩევი ტურნირების წლევანდელ განრიგს. შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ამერიკაში ცხრა გუნდი წრიულად ითამაშებს, ევროპაში კი გუნდები ცხრა ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი

ევროპის ზონაში მატჩის მერე ფრჩხილებში მითითებულია ქვეჯგუფის ნომერი.

## ევროპა

### 24 აპრილი
საბერძნეთი — სლოვენია (1)
იუგოსლავია — ფარერები (6)
მაკედონია — ლიხტენშტეინი (8)

### 1 ივნისი
შვედეთი — ბელარუსი (4)
ისლანდია — მაკედონია (8)

### 2 ივნისი
ნორვეგია — აზერბაიჯანი (3)
იუგოსლავია — მალტა (6)
სან მარინო — უელსი (7)

### 31 აგვისტო
აზერბაიჯანი — შვეიცარია (3)
ავსტრია — შოტლანდია (4)
ბელარუსი — ესტონეთი (4)
ფარერები — სლოვაკეთი (6)
უელსი — სან მარინო (7)
ბელგია — თურქეთი (7)
ლიხტენშტეინი — ირლანდია (8)
რუმინეთი — ლიტვა (8)
სომხეთი — პორტუგალია (9)
ჩრდ. ირლანდია — უკრაინა (9)

### 1 სექტემბერი
საბერძნეთი — ბოსნია (1)
სლოვენია — დანია (1)
მოლდოვა — ინგლისი (2)
უნგრეთი — ფინეთი (3)
ლატვია — შვედეთი (4)
რუსეთი — კვიპროსი (5)
ისრაელი — ბულგარეთი (5)

### 4 სექტემბერი
ფარერები — ესპანეთი (6)

### 18 სექტემბერი
ჩეხეთი — მალტა (6)

### 22 სექტემბერი
სლოვაკეთი — მალტა (6)

### 5 ოქტომბერი
მოლდოვა — იტალია (2)
ესტონეთი — ბელარუსი (4)
ლატვია — შოტლანდია (4)
უელსი — ჰოლანდია (7)
ლიტვა — ისლანდია (8)
უკრაინა — პორტუგალია (9)
ჩრდ. ირლანდია — სომხეთი (9)

### 6 ოქტომბერი
ფინეთი — შვეიცარია (3)
ფარერები — იუგოსლავია (6)

### 8 ოქტომბერი
ლუქსემბურგი — ბულგარეთი (5)

### 9 ოქტომბერი
ბოსნია — ხორვატია (1)
დანია — საბერძნეთი (1)
იტალია — საქართველო (2)
ინგლისი — პოლონეთი (2)
ნორვეგია — უნგრეთი (3)
შვედეთი — ავსტრია (4)
ბელარუსი — ლატვია (4)
ესტონეთი — შოტლანდია (4)
ისრაელი — რუსეთი (5)
ჩეხეთი — ესპანეთი (6)
სან მარინო — ბელგია (7)
ირლანდია — მაკედონია (8)
ლიტვა — ლიხტენშტეინი (8)
ისლანდია — რუმინეთი (8)
ალბანეთი — პორტუგალია (9)
სომხეთი — გერმანია (9)

### 23 ოქტომბერი
სლოვაკეთი — ფარერები (6)

### 9 ნოემბერი
საქართველო — ინგლისი (2)
ავსტრია — ლატვია (4)
ჰოლანდია — უელსი (7)
ლიხტენშტეინი — მაკედონია (8)
გერმანია — ჩრდ. ირლანდია (9)
პორტუგალია — უკრაინა (9)
ალბანეთი — სომხეთი (9)

### 10 ნოემბერი
სლოვენია — ბოსნია (1)
ხორვატია — საბერძნეთი (1)
პოლონეთი — მოლდოვა (2)
აზერბაიჯანი — უნგრეთი (3)
შვეიცარია — ნორვეგია (3)
შოტლანდია — შვედეთი (4)
ლუქსემბურგი — რუსეთი (5)
კვიპროსი — ისრაელი (5)
იუგოსლავია — ჩეხეთი (6)
თურქეთი — სან მარინო (7)
ირლანდია — ისლანდია (8)

### 13 ნოემბერი
ესპანეთი — სლოვაკეთი (6)

### 14 დეკემბერი
კვიპროსი — ბულგარეთი (5)
ესპანეთი — იუგოსლავია (6)
ბელგია — ჰოლანდია (7)
მაკედონია — რუმინეთი (8)
პორტუგალია — გერმანია (9)
ჩრდ. ირლანდია — ალბანეთი (9)

### 15 დეკემბერი
ისრაელი — ლუქსემბურგი (5)
უელსი — თურქეთი (7)

### 18 დეკემბერი
მალტა — ესპანეთი (6)

## სამხრეთი ამერიკა

### 24 აპრილი
არგენტინა — ბოლივია
კოლუმბია — პარაგვაი
ეკვადორი — პერუ
ვენესუელა — ურუგვაი

### 2 ივნისი
ეკვადორი — არგენტინა
პერუ — კოლუმბია
ურუგვაი — პარაგვაი
ვენესუელა — ჩილე

### 7 ივლისი
ბოლივია — ვენესუელა
ჩილე — ეკვადორი
კოლუმბია — ურუგვაი
პერუ — არგენტინა

### 1 სექტემბერი
არგენტინა — პარაგვაი
ბოლივია — პერუ
კოლუმბია — ჩილე
ეკვადორი — ვენესუელა

### 9 ოქტომბერი
ეკვადორი — კოლუმბია
პარაგვაი — ჩილე
ურუგვაი — ბოლივია
ვენესუელა — არგენტინა

### 10 ნოემბერი
ბოლივია — კოლუმბია
ჩილე — ურუგვაი
პარაგვაი — ეკვადორი
პერუ — ვენესუელა

### 15 დეკემბერი
არგენტინა — ჩილე
ბოლივია — პარაგვაი
ურუგვაი — პერუ
ვენესუელა — კოლუმბია

მძლეოსნობა

# პირველად ჩამოვიდა, ყველას გაუსწრო და „პუმაც" დაიმსახურა

ახალციხელი ზიგმუნდ ზილბერშტეინი საქართველოში ცნობილი სტაიერი და კროსმენია, მაგრამ ისე მოხდა, რომ გუშინწინ პირველად იასპარეზა ტრადიციულ ვაკის პარკულ კროსში. ზიგმუნდი თავიდანვე წინ გაიჭრა, პირველი წრე მეორემ დაასრულა, მერე კი თანდათან უმატა და თუმც ფინიშთან მთელი 42 წამით აჯობა უახლოეს მდევარს, ამ შედეგით მაინც ვერ მოხვდა „ლექსოს კროსების" ყველა დროის უკეთეს ათეულში.

ეს უთუოდ ავდრის ბრალი იყო. თბილისში კროსის წინა დღიდან თითქმის გაუჩერებლად წვიმდა. ამას, მართალია, არ დაუფრთხია მონაწილენი და რაც შეჯიბრის წილხვედრი ენთუზიაზმისთვის დაკლია რამე, მაგრამ სირბილი კი ძალიან გააძნელა: ვაკის პარკის წითელმიწიანი ბილიკები დალბა, აჭალახდა, ალაგ-ალაგ გუბეებიც დადგა, მორბენლებს კი იმდენი ეშხეფათ, რომ მუხლამდე ლაფში ამოითხვარნენ; ზოგს ზურგიც კი გაესვარა.

ისევე, როგორც ბოლო წლებში, შეინიშნებოდა წვრილფეხობის სიმრავლე. ბავშვები და მოზარდები დიდი ხალისით მირბოდნენ. მათ ამხნევებდნენ მწვრთნელები და მშობლები. მიუხედავად გავრცელებული აზრისა, ფეხბურთზე გადარევამ რაიონებში ლამისაა სულ მთლად მოაშთოს სხვაგვარი სპორტიო, ამ ერთხელაც დავრწმუნდით, რომ მძლეოსნობა დედაქალაქზე ნაკლებ არც ქვეყნის სხვა კუთხეებში უყვართ და იმის ფულსაც გამოძებნიან ხოლმე, კარგად ნავარჯიშები გოგო-ბიჭები შეჯიბრზე რომ მიავლინონ.

კროსი რომ მორჩა, ერთი საათის მერე დაჯილდოება მოეწყო და ამანაც ხალისიანად ჩაიარა. ცხრილში ჩამოთვლილ უკლებლივ ყველა გამორჩეულს ერგო „ფასიანი საჩუქარი": უნალექო ყავა, ფენი, ვოქმენი, მაისური, წინდები, გრაფინი, დეზოდორი, ტკბილეული, ბარბი, შარშანდელი მსოფლიო პირველობის ამსახველი ვიდეოკასეტა. ზილბერშტეინი და აბრამიძე „პუმის" სარბენი ფეხსაცმლით დააჯილდოვეს, წყვილი 108 ლარი რომ ღირს და მთავარმა სპონსორმა რომ დააწესა.

როგორც ყოველთვის, შეჯიბრი სამაგალითოდ იყო ორგანიზებული მოხალისე მსაჯების მიერ. მონაწილეებიც ისე ემადლიერებიან მომწყობთ, რომ ერთმა მუდმივმა მათგანმა — ოლეგ ხარაზიშვილმა კროსის ფუძემდებელი ლექსო ბურნაძე იქეთ დააჯილდოვა: პორტატული რადიო აჩუქა. არც მედიას დაუკლია ყურადღება კროსისთვის. მართალია, ფოტორეპორტიორთაგან არავინ მოსულა, რის გამოც ზილბერშტეინის გამარჯვება ფირზე არავის აღუბეჭდავს, მაგრამ ერთბაშად ოთხ გაზეთს — „დრონს", „ახალ თაობას", „სარბიელს" და „ზაკავკაზსკიე ვოენნიე ვედომოსტის" წარმოეგზავნა კორესპონდენტი.

შუქრი ბუნტური

### XVII „ლექსოს კროსი"

კვირა, 1996 წლის 21 აპრილი. ვაკის პარკი
წვიმა. 82 მონაწილე

| | ქალები | | | ვაჟები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აბსოლუტური | ქეთინო აბრამიძე | ვანი | 21.39 | ზიგმუნდ ზილბერშტეინი | ახალციხე | 16.34 |
| უმცროსკლასელები | ქეთინო დვალიშვილი | ვანი | 23.33 | ვანო გოგლიძე | გარდაბანი | 21.25 |
| | ნათია ბლიაძე | თბილისი | 30.15 | გიორგი გოგოლიშვილი | ბორჯომი | 21.50 |
| | ვიკა ჟადანი | ბორჯომი | 35.28 | გის ნანობაშვილი | თბილისი | 22.49 |
| უფროსკლასელები | ქეთინო აბრამიძე | ვანი | 21.39 | დათო სამსონაძე | ბორჯომი | 18.04 |
| | ნატო მეკოკიშვილი | თბილისი | 23.06 | ერიკ კიურქჩიანი | ახალციხე | 18.19 |
| | თამუნა ოდიშვილი | თბილისი | 29.10 | დავით გოგოლაძე | ბორჯომი | 18.20 |
| ზრდასრულნი | ლიზა ბურნაძე | თბილისი | 24.12 | ზიგმუნდ ზილბერშტეინი | ახალციხე | 16.34 |
| | - | | | დავით ქულუხაძე | თბილისი | 17.16 |
| | - | | | ჰამლეტ მამიკონიანი | თბილისი | 17.21 |
| ვეტერანები | ლეილა ნინწალაშვილი | თბილისი | 29.36 | შალვა ნადირაძე | მხედრიონი | 17.35 |
| | - | | | ოლეგ ხარაზიშვილი | თბილისი | 20.34 |
| | - | | | გიორგი სტროგეცკი | თბილისი | 24.30 |
| ოჯახები | ძმები ვალიშვილები | | 38.33 | | | |
| | ძმები ალექსანდროვები | | 55.22 | | | |
| | დები ჟადანები | | 1:12.17 | დისტანცია: | | |
| უმრწემესი | დიანა ჟადანი | | 8 წლისა | 4 წრე = 5 240 მ | | |
| უხუცესი | გიორგი სტროგეცკი | | 62 წლისა | | | |

რაგბი

საქართველოს XXIX პირველობა

პირველი ტური

18 აპრილი. III მასივი

**ლელო (0) 3-10 (3) აზოტი**

ლელო — ს: 15 ვ. აბაშიძე
აზოტი — ლ, გ, ს: 10 გოგიშვილი
მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

მეორე ტური

21 აპრილი. III მასივი

**ლელო 6-16 აია**

ლელო — 2ს
აია — 2ლ, 2ს
მსაჯი გია კურატიშვილი

ვაკე. წვიმა

**დინამო 0-93 (39) გუმარი**

გუმარი — 15ლ, 8გ
მსაჯი ნარიმანაშვილი

ბოლო ორ თამაშში ბურთების გამტანთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია და საგანგებო მოკვლევის შედეგად თუ დადგინდება. საქმე ისაა, რომ პატივცემულ კომისრებს, თამაშში 10 ლარი რომ ერგებათ, ვერაფრით უსწავლიათ ოქმების შევსება: მათში ყოველ ლელოს ხუთი ქულით აღნიშნავენ, გარდასახვას — ორით და საქმეც მოთავებული ჰგონიათ!

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. 29-ე ტურის მატჩი

24 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ლევერკუზენი | 1,5 | 2,7 | 4,0 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. 35-ე ტურის მატჩი
23 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| პარი სენ-ჟერმენი — მარტიგი | 1,05 | 3,2 | 10,0 |
| 0:2 | 1,9 | 3,4 | 1,9 |

ამხანაგური მატჩები
24 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰოლანდია — გერმანია | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| ბელგია — რუსეთი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ნორვეგია — ესპანეთი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| ჩეხეთი — ირლანდია | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ინგლისი — ხორვატია | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| დანია — შოტლანდია | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| შვეიცარია — უელსი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სლოვაკეთი — ბულგარეთი | 2,5 | 2,5 | 2,0 |

FRANCE 98

### ხვალ იწყება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (ევროპა)
24 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| საბერძნეთი — სლოვენია | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| იუგოსლავია — ფარერები | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| 0:4 | 1,7 | 3,4 | 2,2 |
| მაკედონია — ლიხტენშტეინი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:2 | 1,6 | 3,4 | 2,5 |

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (სამხრეთი ამერიკა)
24 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| არგენტინა — ბოლივია | 1,1 | 3,1 | 9,0 |
| ვენესუელა — ურუგვაი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| კოლუმბია — პარაგვაი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ეკვადორი — პერუ | 1,6 | 2,6 | 3,6 |

რუმინეთი — საქართველოს მატჩზე ფსონები მიიღება მხოლოდ ანგარიშის გამოცნობაზე (4,0)

ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის ფსონებს ადგილზე გაეცნობით

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | [illegible] | 4-1 | | 2-2 | 1-0 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-4 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | | 1-2 | 0-0 | | 0-2 | 0-0 | 1-3 | 1-1 | [illegible] |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | 2-1 |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | 1-1 | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | 0-0 | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | 1-1 | 0-3 | | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | | 1-0 | 0-1 | 5-2 | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | | | ■ | 0-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | 1-2 | 4-0 | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | 1-0 | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | | 2-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | 0-1 | 2-0 | | | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | 3-1 | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | 1-1 | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | 1-1 | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | 0-0 | 6-3 | 1-1 |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | 3-1 | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | 1-1 | | 2-1 | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | | 1-3 | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | 2-2 | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | 1-1 | 0-3 | 2-1 | | 0-3 | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | 0-0 | 2-1 | 2-2 | | 5-1 | 0-0 | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | 1-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 1-1 | | 0-3 | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 1-2 | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | 0-0 | ■ | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | 2-1 | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | 5-0 | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | 2-1 | | 0-1 | 0-3 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 2-1 | | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | 1-2 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | 0-1 | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | 1-1 | 2-0 | | | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | | 2-2 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | 2-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | 1-2 | 3-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | 2-1 | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | 1-2 | 2-0 | 0-1 | | 0-0 | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | 2-0 |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | 2-4 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | 1-0 | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-2 | 3-0 | 6-4 | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 8-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-2 | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 2-0 | 0-2 | 0-3 | 5-0 | 2-1 | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | 4-0 | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | 2-1 | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | 3-0 |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | 0-0 | ■ | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | 1-0 | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | 1-2 | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | 3-1 | 4-0 | 2-0 | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | 0-2 | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | 4-1 | 2-0 | 1-1 | 2-1 | ■ | 3-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | 2-3 | 2-0 | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | 3-3 | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-3 | 0-1 | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | 2-4 | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | 1-0 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | 2-1 | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | 0-0 | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | 0-3 | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | 2-1 | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | 3-2 |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | 1-1 | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | | 2-3 | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | 1-2 | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 4-1 | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | 1-0 | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | 3-0 | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | 1-1 | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | 0-1 | | 1-3 | 1-3 | 2-0 | 1-0 | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | 4-3 | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | 2-3 | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | 1-0 | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 1-2 |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | 2-1 | 2-0 | 1-0 | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | 1-5 | 3-2 | 0-0 | 0-0 | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 3-1 | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | 3-0 | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | 1-0 | 2-0 | 2-1 | 4-2 | 0-0 | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 2-3 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 3-1 | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | 0-1 | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | 3-1 | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | 1-0 | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | 1-0 | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | 3-0 | 2-4 | 0-0 | 3-3 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# ტურნეს შემდეგ, ჩემპიონატის წინ

შარშან სექტემბერში ტოკიოში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ქართველ ძიუდოისტებს სამი ოლიმპიური ლიცენზია ჰქონდათ — მძიმე, 78 და 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიებში. ისინი შესაბამისად, დავით ხახალეიშვილმა, სოსო ლიპარტელიანმა და გიორგი ვაზაგაშვილმა მოიპოვეს. შემდეგ ჩვენი ფალავნები დანარჩენ წონებში ლიცენზიების მოსაპოვებელ ბრძოლაში ჩაებნენ. ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ამჟამად კი, მსოფლიოს ჩემპიონატიდან შვიდი თვის შემდეგ, საქართველოდან ოფიციალურად ლიცენზირებულთა რაოდენობა კვლავ სამია. ვიმეორებთ, ოფიციალურად, რადგან კიდევ სამ ქართველ ძიუდოისტს ატლანტის საგზური, პრაქტიკულად, ჯიბეში უდევს, ერთს — ამის გაკეთების კარგი შანსი აქვს. ოფიციალურად ყველა ლიცენზიის პატრონის ვინაობა მაისის ბოლოს, ევროპის (სხვა კონტინენტების წარმომადგენლებისათვის თავიანთი კონტინენტური პირველობების შემდეგ) ჩემპიონატის შემდეგ გამოცხადდება.

ძიუდოში ლიცენზიებისთვის ბრძოლა სხვა სახეობებისგან განსხვავებულად მიმდინარეობს. აქ ოლიმპიადის საგზურს არ იძლევა რაღაც კონკრეტული შედეგი; ან რამე შეჯიბრებზე (ვთქვათ, კონტინენტურ პირველობაზე) სპორტსმენის მიერ დაკავებული განსაზღვრული ადგილი. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ჯერ კიდევ შარშან დაასახელა ათი საერთაშორისო ტურნირი, სადაც მოჭიდავეებს, დაკავებული ადგილების მიხედვით, ქულათა კონკრეტული რაოდენობა ეწერებოდათ. ერთ ძიუდოისტს ათივე ტურნირში შეეძლო მონაწილეობის მიღება, ოღონდ სალიცენზიო ჩათვლაში სამი საუკეთესო შედეგი მიდის. ამ ათი ტურნირის ბოლოს, იმართება კონტინენტური ჩემპიონატები, სადაც ლიცენზიის მოპოვების მსურველმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. შედეგს მნიშვნელობა არა აქვს — პირველსავე წრეში რომც წააგოს, თუკი ქულათა რაოდენობა საკმარისი აქვს, ლიცენზიას მაინც მიიღებს. კონტინენტურ ჩემპიონატს ერთი პრივილეგიაა აქვს — მოჭიდავეს ტურნირებისგან განსხვავებით, გაორმაგებული ქულები ერიცხება. ხოლო ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიებს ისინი მიიღებენ, ვინც კონტინენტური პირველობის შემდეგ, კონკრეტულ წონაში, საერთო ჯამში პირველ რვა ადგილზე იქნება.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქართველებს რამდენიმე სალიცენზიო ტურნირში მაინც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ერთი შეხედვით, ეს შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენებურებს უფულობის გამო ერთ შეჯიბრებაზე უჭირთ წასვლა, ახლა კი ხუთ-ექვს ასპარეზობაზე უნდა გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ძიუდო ის სახეობაა, სადაც ქართველებს საერთაშორისო სარბიელზე ყველაზე მეტი წარმატების შანსი გვაქვს და ოლიმპიადაზეც, თუკი ვინმესგან მედალს ველით, პირველ რიგში ძიუდოისტებისგან. ამიტომაც, სპორტის მმართველმა ორგანოებმა — სპორტდეპარტამენტმა და ოლიმპიურმა კომიტეტმა ყველა პრობლემა მოაგვარეს და ძიუდოისტებს ლიცენზიების მოპოვების კარგი პირობები შეუქმნეს.

ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ბერდია გუგავამ გუნდი ნახალწლევს ჩაიბარა და პირველად მოსკოვის ტურნირზე წაიყვანა. ეს შეჯიბრება ერთგვარი მოთელვა იყო დიდი „ევროპული ტურნეს" წინ. 21 თებერვალს ნაკრები გერმანიაში გაემგზავრა და იქიდან მოყოლებული, თვენახევრის განმავლობაში გამუდმებულ საქმიანობაში იყო. ათმა მოჭიდავემ მონაწილეობა მიიღო ექვს საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრებები შაბათ-კვირას ეწყობოდა სხვადასხვა ქვეყანაში. შუალედებში ძიუდოისტები მოკლევადიან შეკრებებს გადიოდნენ.

გუგავას თქმით, ყველა ფალავანი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს და თითქმის შეასრულა დასახული მიზანი. ამ ტურნირებს მთელი მსოფლიოდან მიაწყდნენ ძიუდოისტები. ერთ ტურნირზე ყველაზე ცოტა მონაწილე ქვეყანა 44 იყო, ხოლო ყველაზე მეტი — 63.

თავდაპირველად უკვე ლიცენზირებულებზე. სოსო ლიპარტელიანმა ერთი, მიუნხენის ტურნირი იჭიდავა. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მან ნეკნი დაიზიანა. გამოკვლევებმა და მკურნალობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და გადაწყდა, ლიპარტელიანი თბილისში გამოეგზავნათ, სადაც მან ინდივიდუალური გეგმით გააგრძელა ვარჯიში.

საქართველოს 1995 წლის საუკეთესო სპორტსმენს გიორგი ვაზაგაშვილს შემდეგი დავალება ჰქონდა: ვარჯიში და ერთ ტურნირში მონაწილეობა. გიორგიმ პრაღაში იჭიდავა, პირველი ადგილი აიღო. ოღონდ წონა აღარ დაიკლო და 65 კგ-ში გამოვიდა. ამის შემდეგ ვაზაგაშვილიც საქართველოში დაბრუნდა, თუმცა ევროპის ჩემპიონატზე იგი 60 კგ-ში იჭიდავებს.

ასევე ვარჯიში და ერთი ტურნირი დაუგეგმეს ოლიმპიურ ჩემპიონს დავით ხახალეიშვილს. დათომაც პრაღაში დაიკავა პირველი ადგილი და ცოტა ხანში სამშობლოსკენ გამოემგზავრა.

65 კგ-ში ორი ფალავანი გვყავდა — გიორგი რევაზიშვილი და ამირან ტოტიკაშვილი. რევაზიშვილს მოსკოვში მეორე ადგილი ჰქონდა დაკავებული, რასაც ევროპაში ერთი პირველი, ერთი — მეორე და ერთიც — მესამე ადგილები დაურთო.

კარგად გამოვიდა ტოტიკაშვილიც — ორი „ვერცხლი".

71 კგ-ში თითქმის ბოლო მომენტამდე უიმედო მდგომარეობა იყო. მწვრთნელები ამ წონაში ხან ვის აჭიდავებდნენ, ხან ვის. ერთხანს სამბოდანაც გადმოიყვანეს ჯონდო მუზაშვილი. უცბად, ევროპაში გამგზავრების წინ, სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა უნიჭიერესმა ქართველმა ძიუდოისტმა ვლადიმერ დგებუაძემ, ვინც ორი წელი ტატამს არ გაჰკარებოდა. პირველსავე ტურნირში, პრაქტიკულად უვარჯიშებელმა ლადომ მესამე ადგილი დაიკავა. მომდევნო კვირაში ანალოგიურ შედეგს მიაღწია, ხოლო დასკვნით ტურნირზე, ჰერცოგენბოსში ყველას ბრწყინვალედ... ბდღვირი ადინა და ჩემპიონი გახდა.

86 კგ-ში მოსკოვის ტურნირის ჩემპიონი გიორგი წმინდაშვილი და ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი ივერი ჯიქურაული გვყავდა. პირველივე, მიუნხენის ტურნირის შემდეგ, გუნდის ინტერესების გათვალისწინებით, წმინდაშვილი თავის წონაში დარჩა, ხოლო ჯიქურაულმა 95 კგ-ში გადაინაცვლა. სამწუხაროდ, ამ დიდი შესაძლებლობების მქონე ფალავნის საქმეები ცუდად წაუვიდა. ავადმყოფობას ტრავმები დაერთო, ამას კიდევ მაღალ წონაში გადასვლასთან დაკავშირებული პრობლემები დაემატა. ერთი სიტყვით, ივერიმ თავისი ძალა სრულად ვერ გამოავლინა, ამიტომაც, გუგავა იძულებული შეიქმნა, სამი ტურნირის შემდეგ თბილისიდან მევლუდ ლობჟანიძე გამოეძახებინა. თავიდან ვერც ამის საქმეები აეწყო, მაგრამ ტურნეს ბოლოს იგი კარგ ფორმაში შევიდა და ჰერცოგენბოსში მესამე ადგილი დაიკავა. მევლუდი პირველ შეხვედრაში დამარცხდა რუმინელ რადუსთან, მაგრამ როგორ: სამ იუკოს უგებდა, მერე 18 წამი შებოჭვაზე ეჭირა, მაგრამ ამან გაქცევა მოახერხა. დამთავრებამდე 25 წამით ადრე რადუმ „ვაზარი" დაიმსახურა და გაიმარჯვა. ლობჟანიძემ სანუგეშო ჯგუფში გააგრძელა ასპარეზობა და, როგორც გითხარით, „ბრინჯაო" დაიმსახურა. ამით მევლუდს ლიცენზიის მიღების შანსი გაუჩნდა. ყველაფერს ევროპის ჩემპიონატი გადაწყვეტს, სადაც ლობჟანიძემ უახლოეს კონკურენტებზე უკეთესი შედეგი უნდა აჩვენოს.

ჩვენი მეათე ფალავანი მძიმეწონოსანი ალექსი დავითაშვილი იყო. მას ევროპის ჩემპიონატზე აბსოლუტური პირველობა აქვს საჭიდაო (მოგეხსენებათ, ოლიმპიადაზე აბსოლუტური პირველობა არ თამაშდება). ალეკომ მიუნხენში იასპარეზა და „ბრინჯაო" დაიმსახურა.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ნაკრები ბერდია გუგავას ხელმძღვანელობით ბორჯომს გაემგზავრა საწვრთნელ შეკრებაზე. მოჭიდავეები იქ 27 აპრილამდე იქნებიან, ხოლო 1 მაისიდან წვრთნას თბილისში გააგრძელებენ. ევროპის ჩემპიონატზე, ჰააგაში გუნდი 13 მაისს გაემგზავრება, ხოლო შეჯიბრებაში 16-დან ჩაებმება.

გთავაზობთ ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებზე ქართველ ძიუდოისტების მიერ მიღწეულ შედეგებს:

| | | |
|---|---|---|
| **I ადგილი (5)** | | |
| წმინდაშვილი | მოსკოვი | 86 |
| ვაზაგაშვილი | პრაღა | 65 |
| ხახალეიშვილი | პრაღა | მძიმე |
| რევაზიშვილი | ვარშავა | 65 |
| დგებუაძე | ჰერცოგენბ. | 71 |
| **II ადგილი (4)** | | |
| რევაზიშვილი | მოსკოვი | 65 |
| რევაზიშვილი | მიუნხენი | 65 |
| ტოტიკაშვილი | ბუდაპეშტი | 65 |
| ტოტიკაშვილი | ვარშავა | 65 |
| **III ადგილი (5)** | | |
| დავითაშვილი | მიუნხენი | მძიმე |
| რევაზიშვილი | ბუდაპეშტი | 65 |
| დგებუაძე | ბუდაპეშტი | 71 |
| დგებუაძე | პრაღა | 71 |
| ლობჟანიძე | ჰერცოგენბ. | 95 |

ახლა კი განვიხილოთ რა მდგომარეობაა ცალკეულ წონით კატეგორიაში. მოგეხსენებათ, ლიცენზიას წონაში იღებს ქვეყანა. ამიტომაც, ცხრილში თითო ქვეყნიდან თითო მოჭიდავეა შეყვანილი (ის, რომელსაც საუკეთესო შედეგი აქვს). გათვალისწინებულია თითოეული ძიუდოისტის სამი საუკეთესო შედეგი.

**65 კგ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | რევაზიშვილი | საქართველო | 660 |
| 2 | დევისი | ბრიტანეთი | 660 |
| 3 | მაციევი | რუსეთი | 635 |
| 4 | ბენბოდაუდი | საფრანგეთი | 472 |
| 5 | ლაურენი | ფინეთი | 357 |
| 6 | ალმეიდა | პორტუგალია | 340 |
| 7 | ლევაკი | პოლონეთი | 284 |
| 8 | ტორო | ესპანეთი | 265 |

ლიცენზიები მოპოვებული აქვთ: გერმანიას, თურქეთს, იტალიას, უნგრეთს, ბულგარეთს.

რა უნდა მოხდეს, გიორგი რევაზიშვილმა ლიცენზია რომ ვერ მიიღოს? ალბათ, ქვეყანა უნდა დაიქცეს. პირად შეხვედრებში რევაზიშვილმა დევისს მოსკოვში მოუგო. მოსკოვშივე, ფინალში იგი დამარცხდა მაციევთან, სამაგიეროდ, ბუდაპეშტში, მესამე ადგილისთვის შეხვედრაში რევანში აიღო.

**71 კგ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ილიეში | უნგრეთი | 587 |
| 2 | გალიანო | საფრანგეთი | 520 |
| 3 | დგებუაძე | საქართველო | 514 |
| 4 | კოლესნიკოვი | რუსეთი | 514 |
| 5 | შმიდტი | გერმანია | 470 |
| 6 | დემირელი | თურქეთი | 309 |
| 7 | ბენტეში | პორტუგალია | 283 |
| 8 | კრაევსკი | პოლონეთი | 242 |

ლიცენზიები მოპოვებული აქვთ: იტალიას, ბრიტანეთს, ავსტრიას, მოლდოვას

დგებუაძის საქმეც გარკვეულია. ლიცენზიის მიღებაში ვერაფერი შეუშლის ხელს. ლიდერ ილიეშთან ლადომ ბუდაპეშტში ნახევარფინალში წააგო, ხოლო ჰერცოგენბოსში წმინდად მოუგო.

**86 კგ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კლიშინი | ავსტრია | 587 |
| 2 | ბიორჩი | ბრიტანეთი | 545 |
| 3 | ჰუსინგა | ჰოლანდია | 517 |
| 4 | ვილარი | ესპანეთი | 497 |
| 5 | შპიტკა | გერმანია | 424 |
| 6 | წმინდაშვილი | საქართველო | 405 |
| 7 | ლაჩინა | ჩეხეთი | 171 |
| 8 | ტერნი | ბელგია | 171 |

ლიცენზიები მოპოვებული აქვთ: რუსეთს, უკრაინას, საფრანგეთს, ლიტვას, რუმინეთს.

წმინდაშვილის ჩათვლაშია თითო — პირველი, მეხუთე და მეშვიდე ადგილები. მიუხედავად ამისა, ქართველი ფალავანი დიდი მარაგით უსწრებს ჩეხ და ბელგიელ ძიუდოისტებს. გიორგის გასასწრებად ამ ორს, სულ ცოტა, ჩემპიონობა სჭირდებათ, მაგრამ ეს, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

**95 კგ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კნორეკი | გერმანია | 750 |
| 2 | სოარეში | პორტუგალია | 570 |
| 3 | რადუ | რუმინეთი | 545 |
| 4 | სვირიდი | ბელარუსი | 334 |
| 5 | კოვაჩი | უნგრეთი | 334 |
| 6 | გვიდო | იტალია | 315 |
| 7 | ტორლეიფსონი | ისლანდია | 284 |
| 8 | პეპიჩი | სლოვაკეთი | 225 |
| 10 | ლობჟანიძე | საქართველო | 210 |

ლიცენზიები მოპოვებული აქვთ: პოლონეთს, რუსეთს, საფრანგეთს, ჰოლანდიას, ბრიტანეთს.

ლობჟანიძის ჩათვლაშია თითო — მესამე, მეხუთე და მეთერთმეტე ადგილები. მევლუდი ბევრით არ ჩამორჩება მე-7-8 ადგილებზე მყოფთ. სავარაუდოდ, ევროპის ჩემპიონატზე მე-5 ადგილი მას ლიცენზიას მოუტანს.

60, 78 და მძიმე წონების მდგომარეობას არ გთავაზობთ, რადგან აქ ქართველებს არაფერი გვაქვს დასათვლელი — ოლიმპიური საგზურები კარგა ხნის მოპოვებულია.

მერაბ რატიშვილი



# კალათბურთი ძლიერი მსაჯების გარეშე არ აღორძინდება



ის, რომ საქართველო საკალათბურთო ქვეყანაა, აღიარებული ფაქტია. ამიტომ ქართული კალათბურთის დღევანდელობაც და მომავალიც საყოველთაო მსჯელობისა და განსჯის საგნად უნდა იქცეს. ჩვენმა თაობამ კარგი მემკვიდრეობა მიიღო, მომავალი თაობა კი ჩვენს საქმიანობას ჩვენივე დანატოვარით შეაფასებს.

სწორედ შეფასებით მინდა დავიწყო. აგერ 30 წელზე მეტია, რაც საქართველოს პირველობის მონაწილე ვარ და ჯერ არ მახსოვს, განვლილი შეჯიბრებების შეფასება მომხდარიყოს. თუ ადრე ძირითადად სპორტკომიტეტი აჯამებდა წლიურ შედეგებს, დღეს ფედერაცია კურირებს კალათბურთის საქმიანობას.

დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ მრავალი ახალი პრობლემა წარმოქმნა. პრობლემები არაორდინარულად უნდა გადაიჭრას. საბჭოთა წყობის დროს ჩვენი რესპუბლიკისთვის 2-3 მაღალკვალიფიციური არბიტრი სრულიად საკმარისი იყო. ახლა კი ეროვნული ჩემპიონატის ჩასატარებლად სულ მცირე 10-12 მომზადებული არბიტრია საჭირო. მსაჯების მომზადების პრობლემა კალათბურთის ყველა მესვეურს უნდა აწუხებდეს. მითუმეტეს, რომ არბიტრის პროფესია მეტად დაუფასებელია და არავითარი სტიმულირება არა აქვს.

ჩემი და წინამორბედი თაობებისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები და სპარტაკიადები დიდი სტიმული იყო, რაც შედეგებშიც გამოიხატა: ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების მრავალი ჩემპიონი და პრიზიორი გვყავდა. აღარას ვამბობ საერთაშორისო არბიტრებზე: საქართველოდან ყოველწლიურად 2-3 მსაჯი იყო დასახელებული საბჭოთა კავშირის 10 უძლიერეს არბიტრთა შორის. ისე არ გამიგოთ, თითქოს საბჭოთა კავშირის დაშლას მივტიროდე. უბრალოდ, ყველამ უნდა გაითავისოს, რომ სტიმულირების და დაინტერესების სხვა გზები უნდა ვეძიოთ.

სწორედ ამ მიზნით მსაჯთა კოლეგიამ 4 წლის წინ ფედერაციის წინაშე დააყენა მოთხოვნა მსაჯების ანაზღაურების შესახებ — 10 ამერიკული დოლარის ექვივალენტი თანხის ოდენობით. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მოთხოვნამ შედეგი გამოიღო. კალათბურთის რამდენიმე მწვრთნელმა შესაძლებლობების ფარგლებში კარგი სამსახური გასწია. ჩვენში შექმნილი ფსიქოზური ატმოსფეროს გამო მთელ რიგ შეხვედრებში როგორც ახალბედა, ასევე გამოცდილ მსაჯებს ძალიან გაუჭირდათ.

ახლა, როდესაც ქვეყანა სტაბილიზაციის გზაზეა, მსაჯთა პრობლემების გადაჭრას ახლებურად უნდა მივუდგეთ — მსაჯთა მომზადების, უზრუნველყოფის, დაცვისა და შეფასებების მიზნით.

შევეცდები მოკლედ შევეხო თითოეულ პუნქტს.

მსაჯები შეჯიბრების დაწყებამდე უნდა მომზადდნენ. ჩვენი დუხჭირი ცხოვრება იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ მათ შეკრებები მოვუწყოთ. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, სემინარების ჩატარებაა, როგორც დამწყებ, ასევე გამოცდილ მსაჯებთან (მსაჯთა კოლეგია ამას უსასყიდლოდ გააკეთებს), მაგრამ დამწყები მსაჯები არ გვეყოლება, თუ მათი უზრუნველყოფის მეტად რთული და მტკივნეული საკითხი არ მოგვარდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთი განცხადება გავაკეთეთ მსურველების მსაჯთა სემინარზე მოსაწვევად, მაგრამ არბიტრის შრომის დაუფასებლობის და მცირე ანაზღაურების გამო არავის გამოუთქვამს ამის სურვილი. მე პირადად რ... ნიმე მოქმედ ახალგაზრდა კალათბურთელ... ვმართე წინადადებით — გვეყვნენ ... რები და გამხდარიყვნენ მსაჯები, მ... ყველამ ერთი და იგივე პასუხი გამცა... თი მცირე ანაზღაურების ფასად არ დ... რგავ იმ ხელფასს, რასაც გუნდში მი... ანო.

რა ვქნა, როგორ მოვიზიდოთ ხა... სამსაჯოდ? როგორ შევინარჩუნოთ ... მედი მსაჯები? ჩემი აზრით, პასუხი ... თია: თუ მსაჯი გვინდა, უნდა გადავუ... დოთ კიდეც. თანაც, თამაშის დაწყებამ... როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებ... მიღებული. შარშან დეკემბერში, გაზ... „ლელოს" 48-ე ნომერში ვწერდი ... ახლაც მინდა გავიმეორო: არბიტრებს ან... ზღაურება მარტო ჩემპიონატში მონაწილ... გუნდების შენატანი თანხიდან არ უნდა ე... ლეოდეთ. ფედერაციამ მსაჯებს სხვა შე... მოსავლებიდანაც უნდა გადაუხადოს. თ... საიდან, ამაზე თავად იფიქრონ. ფედერაციის წესდებაში ხომ შემოსავლის მრავალი წყაროა მითითებული! ფაქტია, ნაკრებისთვის უმალ გამოიძებნება ხოლმე საჭირო თანხა, თუნდაც მინიმალური. განცვიფრებას იწვევს სულ ახლახან, საბერძნეთში წასაგებ მატჩზე მრავალრიცხოვანი დელეგაციის წასასვლელად დახარჯული ათეული ათასი დოლარი. არადა, მსაჯობაც ხომ კალათბურთის შემადგენელი ნაწილია. ვინმეს არ ეგონოს, რომ ჩვენ რაღაც სასწაულს ვითხოვთ. ესენგეს ქვეყნებში მინიმალური ანაზღაურება 60 ამერიკული დოლარის ტოლფასია, აღარ ვლაპარაკობ უკრაინაზე და რუსეთზე, სადაც არბიტრებს, შესაბამისად, 100 და 150 დოლარს უხდიან. ჩვენ რაღაც ოპტიმალური თანხა უნდა შემოვიღოთ, ალბათ დიფერენცირებულად, ჩემპიონატის ეტაპების, მატჩების სირთულისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით. სწორედ ამის თაობაზე მქონდა საუბარი მიმდინარე ჩემპიონატის დაწყებამდე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან. ცნობილი მიზეზის გამო ამ საკითხის განხილვა დროულად არ მოხერხდა. ასევე ვერ იქნა მიღწეული სტიმულირების მიზნით არბიტრების დელეგაციებში ჩართვა, ქვეყნის გარეთ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე მივლინება. იმედია, ახლადარჩეული ფედერაცია სათანადო გადაწყვეტილებებს მიიღებს.

რაც შეეხება მსაჯების დაცვას — დღესდღეობით ყველა სფეროში კანონის უპატივცემლობაა და საერთო განწყობაც დაძაბულია. არც მოთამაშეები, მწვრთნელები და გულშემატკივრები არიან გამონაკლისი. ამას ემატება ჩვენი სამხრეთული ბუნებაც. მსაჯის დაცვა არ არის უზრუნველყოფილი — არც მოედანზე და არც მის მიღმა. მიუხედავად ჩვენი არაერთგზის მოთხოვნისა, ვერ მივაღწიეთ, რომ თამაშებს წესრიგის მცველები ესწრებოდნენ. მოედნის გარეთ დაცვაში ბევრ რამეს ვგულისხმობ: ხშირად, შედეგით განაწყენებული მწვრთნელები და მოთამაშეები, გნებავთ, მათი ქომაგები, ცდილობენ ყველაფერი მსაჯს დააბრალონ, თანაც საინფორმაციო საშუალებებით. არადა, არბიტრის შეფასება მსაჯთა კოლეგიის და ფედერაციის პრეროგატივაა. ჩვენს გამოქომაგებაზე და ინტერესების დაცვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. შორს არ წავალ. გასული წლის ჩემპიონატზე, სრულიად უსაფუძვლოდ, დაშვებული იქნა მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის დასჯილი მოთამაშე, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, წელსაც იგივე გაიმეორა. აი, როგორ არიან დაცული მსაჯები.

ისე არ გამიგოთ, თითქოს მსაჯები არ ცდებოდნენ და მათ მიმართ საყვედურები არ მეთქმოდეს. შეცდომები მათაც მოსდით. მსაჯის პროფესია მესანგრის საქმიანობას ჰგავს. თუკი მოთამაშისა და მწვრთნელის მრავალი შეცდომა რჩება შეუმჩნეველი, მსაჯს ერთ შეცდომასაც არავინ აპატიებს. მრავალწლიანი ავტორიტეტი შეიძლება სულ მცირე შეცდომამ დაგაკარგვინოს. მიუხედავად ამისა, ზოგი მათგანი მაინც ახერხებს კარიერის ღირსეულად დამთავრებას.

შეუძლებელია, საქართველოში კალათბურთის აღორძინებაზე მაღალკვალიფიციური მსაჯების აღზრდის გარეშე იფიქრო. მათი მატერიალურად დაინტერესებით ახალ შევსებასაც მივიღებთ, შესაძლოა კონკურენციაც წარმოიშვას, ხოლო იქ, სადაც კონკურენციაა, შედეგიც არ აყოვნებს.

მურმან ჭურიძე

საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი



# მარათონების ვიქენდი

შაბათს ერთი მარათონი იყო, ბელგრადში; კვირას — კიდევ ორი: ლონდონსა და პარიზში.



ლიზ მაკკოლგანი

დიონისიო სერონი

**იუგოსლავიის** დედაქალაქში შეჯიბრი მეცხრედ მოეწყო. წლევანდელი გარბენი პირველი იყო გაეროს სანქციების მოხსნის შემდეგ, თუმც სერბებს ომიანობისა და საერთაშორისო ბლოკადის წლებშიც კი არ მოუშლიათ მარათონის გამართვა და უცხოელთა დაპატიჟება. შარშან ბელორუს ვლადიმირ კოტოვს გაუმარჯვნია.

წელს გარბენში 20 ათასი მორბენალი ჩაება. ტემპერატურა 25 გრადუსი იყო. კოტოვი ამჯერად მესამე ადგილზე დარჩა. მას აფრიკელებმა აჯობეს: ძალზედ ცნობილ სტაიერსა და მარათონელს, ჯიბუტელ აზმედ სალეჰს 16 წამით ჩამორჩა კენიელი მბარაქ ჰუსეინი. სალეჰის დროა 2:14.16. ეს კაცი მომთაბარე ტომს ეკუთვნის, რის გამოც თავისი ასაკი მიახლოებით იცის; ამბობს, ასე 40 წლისა ვარო. სალეჰი ჯიბუტის არმიის კომენდანტია, მაგრამ სულ შეჯიბრებებზე რომაა, მუნდირი ფაქტობრივად არცა სცმია.

ბელგრადში, ქალთაგან საუკეთესო, შარშანდელის დარად, პოლონელი იზაბელა ზატულსკა აღმოჩნდა — 2:36.50.

**პარიზში** ფინიში ერთობ ფიცხელი გამოდგა. გაიმარჯვა პორტუგალიელმა ენრიკუ კრისტოს მოსმოსმა — 2:12.19. მასთან ორი წამი წააგო მექსიკელმა ისიდორო რიკოლმა, სამი წამი — პორტუგალიელმა ფერნანდუ კუტუმ.

**ლონდონის** XVI მარათონში 27 ათასი კაცი ჩაება. იშვიათი სიცხე იდგა — ფარენჰაიტის 70 გრადუსი (ჩვენებურად 21). მიუხედავად ამისა, ჯგროში მაინც მრავლად იყვნენ წიწილის, პინგვინის, მარტორქის ნიღბიანი ოხუნჯები, მონაწილეთა ერთმა ნაწილმა კი ფინიშს სტარტიდან ხუთი საათის შემდეგღა უწია.

ყველას ერთი ცნობისწადილი ჰკლავდა — ზედიზედ მესამედ თუ გაიმარჯვებდა მექსიკელი დიონისიო სერონი, ვისაც ჩემპიონატები და მედლები არად ულირს, ჰონორარები კი ერთობ უყვარს და „უბრალოდ მარიას" მაგვარი ტელე-სერიალებით გამოთაყვანებულ ქვეყანაში თითით საჩვენებელი ფიგურაა. აი ახლაც, ლონდონში რომ ოდენ ერბინა, სერონმა 140 ათასი გირვანქა ითხოვა და კიდეც მისცეს.

მექსიკელმაც სიტყვა შეასრულა: ხასულე ორკესტრებისა და ჯაზ-კვარტეტების აკომპანიმენტით ორ საათსა და 10 წუთში გალია დისტანცია და თითქმის ნახევარი წუთი მოუგო მეორე ადგილზე დარჩენილ ბელგიელ ვანსონ რუსოს. მესამემ ფინიშთან ბრიტანელმა პოლ ედმუნდსმა მიირბინა.

ქალთაგან საუკეთესო დრო აღმოაჩნდა შოტლანდიელ ლიზ მაკკოლგანს, ვისაც ექიმებმა ამ ორი წლის წინ აღუთქვეს, ველარასოდეს ირბენო, მაგრამ ლიზი ნორვეგიელმა მწვრთნელმა გრეტა ვაიტცმა მაინც დაუბრუნა სარბიელს. მაკკოლგანმა აჯობა ორ ძლიერ პოლონელს — მალგოჟატა შაბანსკას (შარშანდელ გამარჯვებულს) და რენატა კაკალსკას.

რაც შეეხება სერონს, მას გამარჯვებისთვის კიდევ 35 ათასი გირვანქა ერგო, რითაც მისმა ლონდონურმა მონაგარმა 175 ათასი შეადგინა.

რეზო ნემსაძე



# უცხო რამ ხილები

**ბადმინტონი** დიდი შემაქცევარი და მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი არდი ვარანატა ვერ მოხვდა ინდონეზიის იმ ნაკრებში, ატლანტის ოლიმპიადაზე რომ იასპარეზებს. გუნდში მხოლოდ სამი ადგილია, მათზე კი უკვე მოკალათებულან მსოფლიოს ჩემპიონი პირიანტო აჯი, [illegible] დი კუსუმა. რაც შეეხებათ ევროპელებს, წინა კვირაში [illegible] ჩემპიონატში უმაგალითო [illegible] — მასპინძლებმა ექვსივე ოქრო მოიპოვეს. ფინალში [illegible] ნმა, ვინაც 14 წუთი ამყოფინა რუს მარინა [illegible] 15:0, 15:3 [illegible].

**კრივი** კურიოზი შეემთხვა მავანი მსუბუქი წონის ჩემპიონს, ფრანგ ჟანგ ანაკლე ვამბას, ვისაც კვირას ტიტული უნდა დაეცვა არგენტინელი მარსელო დომინგესის ხელყოფისაგან, მაგრამ აწონვისას ლიმიტზე კილონახევრით მეტი გამოვიდა და დისკვალიფიკაციაც მისცეს, დომინგესი კი დროებით ჩემპიონად გამოაცხადეს.

**მოტორბოლა** მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპი — იაპონიის გრან-პრი კვირას, „სუძუკაზე" რომ გაიმართა, მოიგო იაპონელმა ნორიფუმი აბემ („იამაჰა"), ვინაც კარიერის პირველი დიდი პრიზიც მოიპოვა და 500 კუბური სანტიმეტრის კლასში ბოლო 14 წლის მანძილზე პირველადაც გაამარჯვებინა იაპონიას. პოული ეჭირა ესპანელ ალექს კრივიეს („ჰონდა"), ვინაც რბოლაში მეორე ადგილზე გავიდა. მესამე იყო ამერიკელი სქოთ რასელი, მეექვსე — წინა ორი წლის მსოფლიო ჩემპიონი, ავსტრალიელი მიკი დუენი („ჰონდა"), რომელიც 6 ქულით ლიდერობს კიდეც წლევანდელ შეჯიბრს.

**გოლფი** ამერიკის ტურზე „პი-ჯი-ეი ჰერითიჯ კლასიკი" ნორმაზე 19-ით უკეთესი 265 დარტყმით მოიგო ამერიკელმა ლორან რობერთსმა. კინაღამ შარში გაეხვია მსოფლიოს პირველი მეგოლფე, ავსტრალიელი გრეგ ნორმანი, ვისაც მავანი მთვრალი მაყურებელი აუხირდა, აშშ-ის საოსტატო შეჯიბრში დიდი უპირატესობა რომ დაფლანგე. ფინანსურად ძალიან მაზარალე, ვინაიდან ტოტალიზატორში წავაგეო. ნორმანს შარისთავისთვის ხმა არ გაუცია, მაგრამ მისი საჭურველმტვირთველი ჩაერია საქმეში და მოხულიგნო მაყურებელი პოლიციას დააპატიმრებინა.

**კრიკეტი** დებიუტანტმა სამხრეთმა აფრიკამ ისე მოიგო არაბეთის საამირო შარჯაში გათამაშებული „პეპსის" თასი, რომ ჯერ წრიულ შეჯიბრში ორ-ორჯერ დაამარცხა ინდოეთი და პაკისტანი, პარასკევს ფინალში კი მესამედაც მოუგო ინდოეთს. რაც შეეხება ლანკელ მომწოდებელ მუთაიარ მურლითარანს, ვისაც ახალი წლის წინ ავსტრალიაში სტუმრობისას ბურთის ტყორცნა დაბრალდა, ამან სინჰალურ გაზეთ „ლუნგადიპაში" ერთიანად გადაუხადა მადლობა ყველა, ათასობით ქომაგს, ვინც კი არ დაიზარა და მხარდამჭერი წერილი გაუგზავნა.

**სნუკერი** შეფილდში, „კრუსიბლის" საბილიარდოში, შაბათს გაჩაღდა და 17 დღეს გასტანს მსოფლიო ჩემპიონატი. კვირას ინგლისელმა რონი ოსალივანმა (3) 10:3 რომ დაამარცხა კანადელი ფრანგი ალენ რობიდუ, ამან ხელი არ ჩამოართვა, აქაოდა შეურაცხყოფილი ვარ, ბოლო ფრეიმი (პარტია) მარცხენა ხელით რომ მეთამაშე ხალხის სასეიროდო. ამაზე ოსალივანს განუცხადებია, რობიდუ მიპქარავსო.



ცაფლან ჯანდიერი

# საერთაშორისო რაგბი

## ზე-12-ის პირველობა

19 აპრილი

ჩრდ. ტრანსვაალი 25:15 ტრანსვაალი

20 აპრილი

ოქლენდი 39:31 ვაიქათო

კანბერა 21:20 ქვინზლენდი

21 აპრილი

ახ. სამხრ. უელსი 29:25 ოთაგო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი (ზ) | 7 | 6 | 0 | 1 | 287:202 | 32 |
| ქვინზლენდი (ავ) | 8 | 6 | 0 | 2 | 223:198 | 28 |
| კანბერა (ავ) | 8 | 6 | 0 | 2 | 210:199 | 27 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 8 | 5 | 0 | 3 | 233:171 | 24 |
| ვაიქათო (ზ) | 9 | 5 | 0 | 4 | 237:229 | 23 |
| ახ. სამხ. უელ (ავ) | 8 | 4 | 0 | 4 | 199:170 | 22 |
| ოთაგო (ზ) | 9 | 4 | 0 | 5 | 274:294 | 22 |
| ნატალი (აფ) | 7 | 4 | 0 | 3 | 239:187 | 21 |
| ველინგთონი (ზ) | 7 | 2 | 0 | 5 | 197:213 | 13 |
| ქენთებრი (ზ) | 8 | 2 | 1 | 5 | 158:236 | 12 |
| დას. კონცხი (აფ) | 8 | 1 | 1 | 6 | 184:277 | 7 |
| ტრანსვაალი (აფ) | 7 | 1 | 0 | 6 | 115:180 | 6 |

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა. მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

23. IV. დას. კონცხი — ველინგთონი, ტრანსვაალი — ქენთებრი

**ჯონა ლომუს** ოქლენდის „ლურჯები" თამაშს არ ტოვებენ, პრემიალური ქულები რომ არ მიითვალონ. ახლაც, კაპიტან ზინზან ბრუქის (8) ბიჭებმა თავიდანვე დაიბრიყვეს ვაიქათოს „ბელადთა" შერკინება, გაილაღეს, შესვენებამდე სამ ლელო გაუტანეს და ტაიმი 22:6 მოუგეს.

მეორე ნახევარი აიწონა-დაიწონა გამოდგა. გუნდები თითო საჯარიმო ლელოთი დაისაჯნენ. თამაშის დამთავრებას 20 წუთი რომ უკლდა, ოქლენდი 39:17 იგებდა, მაგრამ მერე ვაიქათომ სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა. სტუმრებს ერთი ლელოც რომ გაეტანათ, ერთბაშად ორ ქულას გამოკრავდნენ ხელს, მაგრამ ვერ შეძლეს.

**ოქლენდი** ცხრილში მეტად დაწინაურდა, ვინაიდან წააგო მისმა მთავარმა მეტოქემ — ქვინზლენდის „წითლებმა". ამათ 15 ათასი ქომაგის თვალწინ მოუგო კანბერის „ბრამბიზმა", ვინაც ავსტრალიურ გუნდებს შორის უსუსტესი ეგონათ, მაგრამ ჯერ შინ თამაში არ წაუგია და თვით ოქლენდსაც გააცალა ხყალპი.

ქვინზლენდმა პირველი ნახევარი 7:3 მოიგო (ლელო შუამარბმა დანიელ ჰერბერთმა გაიტანა), მაგრამ შესვენების შემდეგ კანბერელებმა — ოუვენ ფინეგანმა (8) და ტონგელმა იპოლიტო ფენუკიტაუმ (7) ლელოები გაიტანეს. მერე „წითლებმა" ბენ თიუნის (11) ლელოთი და ჯონ ილზის (5) საჯარიმოთი სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს და ბოლო 13 წუთის მანძილზე ძალიანაც მიეძალნენ მასპინძლებს, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ ილზმა კარს ააცილა საჯარიმო.

**ცხრილში** მეოთხე ადგილზე მოწყობილა ჩრდილოეთი ტრანსვაალი, ვისაც მხოლოდ აფრიკაში დარჩა სათამაშო. პრეტორიელებმა პარასკევს, 52 ათასი ქომაგით გადაჭედილ „ლოფტუს ფერსფელდზე" მორიგი მარცხი აგემეს მეზობელსა და ძველ მეტოქეს — იოჰანესბურგის ტრანსვაალს, ვინაც ერთობ დაალალატა დამრტყმელმა გევინ ლოლესმა (15), ვინაც ერთი გოლიც ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, გადასარევად ურტყმა მასპინძელთა 10 ნომერმა იანი კრუგერმა, ვინაც ზედიზედ ოთხი საჯარიმო შეაგდო.

საზოგადოებას პირველი ლელოს ცდა 56 წუთი მოუწია. აქ ნაკრების 8 ნომერმა ადრიაან რიხტერმა გარღვევა მოაწყო, რასაც მეტოქის ძელებთან რაქი და მარცხენა ფრთაზე პრეტორიელთა რიცხობრივი უპირატესობა მოყვა. მერე და მერე ტრანსვაალმა სამი ლელო გაიტანა და მასპინძლებს თითქმის წამოეწია, მაგრამ თამაშისათვის წამატებულ დროში კრუგერმა არეკნი შეუგდო სტუმრებს და შინ ერთი ქულაც კი არ გაატანა.

**ოთხეულში** მოხვედრის თეორიული შანსი შეინარჩუნა სიდნეის ახალმა სამხრეთმა უელსმაც. „ვარათაზი" შესვენებაზე 17:5 უგებდა ოთაგოს „მთიელებს", რომელთა რიგებში გამოჩნდა თავხოტორა ჯოშ კრონფელდი (7). მერე სტუმრებმა სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს, რასაც სიდნეელთა გარემარბების — დევიდ ქემფიზის (11) და ალისთერ მერდოქის (14) ლელოები მოყვა. „მთიელთა" ორი ლელო სამოელი ბრაიან ლიმას (14) ანგარიშზეა.

როიტერს-ის მიხედვით

## გაუმაძღარი კავშირი

დიდი ამბებია ინგლისში, სადაც 24 გაპროფესიულებული კლუბის ასოციაცია ვერ მორიგებია ქვეყნის რაგბის კავშირს სატელევიზიო კონტრაქტებიდან შემოსული ფულის განაწილების გამო. კავშირს მონოპოლისტობა სურს, კლუბებს კი მეტი ფული სჭირდებათ. ესენი იქადნებიან, თუ კავშირი არ დათმობს, გაისად მივატოვებთ „ქარიჯის" ჩემპიონატსა და „პილკინგტონის" თასს და ჩვენით ვიასპარეზებთ ინგლის — უელსის საზიარო ლიგაში და გამრავალრიცხოვანებულ ევროპულ საკლუბო ლიგაშიო.

კლუბების სახელით მოლაპარაკებას წარმართავდა დონალდ ქერი, კავშირიდან კი — მისი აღმასკომის თავმჯდომარე ქლიფ ბრითლი. ამან ერთობ აუგად მოიხსენია „ნიუკასლ იუნაიტედის" საფეხბურთო-სარაგბო კლუბის პატრონი, მილიონერი სერ ჯონ ჰოლი, აქაოდა რაგბში შემოჭრილა და თავის მიზნებს თავს გვახვევსო. კრიტიკის პასუხად ჰოლს უთქვამს, ყველა კლუბი „ნიუკასლივით" ფიქრობს, ბრითლს არაფრის გაგონება სურს, მე, გულუბრყვილოს კი მეგონა, რუსული, შეუვალი „ნეტ!" ცივი ომის დამთავრებასთან ერთად დასამარდაო.

კლუბებს კავშირის წყენინება არა სურთ და შუამავლად კავშირის პრეზიდენტი ბილ ბიშოფი უხმიათ. ამისი მეცადინეობით 12 სადაო საკითხიდან 11 უკვე გადაჭრილა, გადასაწყვეტი კი უმთავრესი — შემოსავლის განაწილება დარჩენილა.

ინგლისის რაგბის კავშირი მარტო თავისს კლუბებს როდი ედავება. აქაო და ჩვენ კლუბიცა და ტელე-აუდიტორიაც მეტი გვყავს და სარეკლამო პოტენციალიც მეტი გვაქვსო, ხუთი ერის პირველობის სატელევიზიო კონტრაქტიდან დანარჩენ ოთხ ქვეყანაზე მეტი წილი გვერგებაო. ინგლისი მსგავს აზრზე მდგარა XIX საუკუნეშიც, **ირბ**-ში ხმათა განაწილების წესი რომ დგინდებოდა, ამ ბოლო გამოხდომამ კი მავან გავლენიან მოხელეს ათქმევინა, **ინგლისი იმდენს იზამს, რომ ხუთი ერის პირველობიდან გაირიცხებაო.**



## ფირა-ელები შეიბნენ

მას აქეთ, რაც ხუთი ერის ჩემპიონობა ხელიდან გაუსხლტათ, ფრანგებმა გუნდი გადაიხალისეს: ნაკრებიდან საერთოდ დაითხოვეს თიერი ლაკრუა (12), ლორან კაბანი (7) და ჟან-მიშელ გონზალესი (2), სათარიგოებად გაამწესეს ემილ ნტამაკი (14) და თომას კასტენიედი (10), ხოლო დაასვენეს ჟან-ლუკ სადურნი (15), მაგრამ შაბათს შინ, ორიაკში რუმინეთს მაინც გაუტანეს ათი ლელო და 64:12 მოუგეს. კრისტიან კალიფანომ (**ფოტოზე**) ერთბაშად სამჯერ ისახელა თავი, რაც ბურჯისთვის იშვიათობაა.

ამასობაში, არც ფირა-ს სხვა ქვეყნები უქმობენ, 1999 წლის მსოფლიო თასზე მოსახვედრად საქართველოს პოტენციური მეტოქეები რომ არიან.

„ა1" ჯგუფში ორი საგულისხმო შედეგი აღინუსხა: 31 მარტს ესპანეთმა ბარსელონაში უმასპინძლა საფრანგეთის ერთ-ერთ რიგითს ნაკრებს და 9:81 წააგო, ორი კვირის თავზე კი, მადრიდში, თავად დათეთქვა რუსეთი 52:6.

ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს, „სპორტ-ექსპრესის" ცნობით, ესპანეთს საუკეთესო გუნდი წარუგზავნიათ: ნაკრებში შვიდი კაცი მიუვლენია „კრასნი იარს", ხუთი — მონინოს ხსა-ს, ორ-ორი — „სიბტიაჟმაშსა" და პენზას, თითო — როსტოვისა და კალინინგრადის გუნდებს, ამიტომ მით უფრო საოცარია რუსთა პირველი მარცხი ესპანელთაგან და ისიც ამხელა ანგარიშით.

აქვე უნდა ითქვას, რომ მატჩი ერთობ პრინციპული იქნებოდა: შარშან საფრანგეთს, იტალიასა და რუმინეთს მსოფლიო თასის გამო ფირა-ს ჩემპიონატისათვის რომ არა სცხელოდათ, ერთი „ა" ჯგუფი ესპანეთმა მოიგო, მეორე — რუსეთმა, მაგრამ ფირა-მ ეს ორი გუნდი ჩემპიონის გამოსავლენად რომ ვერაფრით ათამაშა ერთმანეთთან, ტიტული ესპანეთს უბოძა, აქაოდა ამის თავის ჯგუფში ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს, ვინემ რუსეთს თავის ჯგუფშიო (???)

აი, ასეთია ფირა-ული სამართალი და ლოგიკა!

თენგიზ არტამონოვი

# წინა კვირის ჩოგბურთი




**ტოკიოში**, იაპონიის ღია პირველობა მოიგეს პირველ ნომრად განთესილებმა — პიტ სამპრასმა (აშშ) და კიმიკო დატემ (იაპონია). ფინალში პიტმა 6:4, 7:5 დაამარცხა რიჩი რენებერგი (აშშ), კიმიკომ კი 7:5, 6:4 ემი ფრეზერი (აშშ).

ნახევარფინალში სამპრასმა 7:6, 6:4 აჯობა მარკ ვუდფორდს (ავსტრალია, 5), რენებერგმა კი სამ ხელში (ბოლოში თაი-ბრეიქით) დაამარცხა ჰენდრიკ დრიკმანი (გერმანია). ამავე ეტაპზე დატემ 6:1, 6:3 მოუგო მეწყვილესა და თანამემამულეს — აი სუგიამას, ფრეზერმა კი კიდევ ერთი იაპონელი — ნაიოკო კაჯიმუტა 6:3, 6:7, 6:1 გააგდო.

მეოთხედფინალში გავარდა მაიქლ ჩანგი (აშშ, 2), ვისაც მხრის კუნთი ეტკინა და ორ ხელში მოუგო რენებერგმა. დრიკმანმაც ორ ხელში დაამარცხა რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 6), ვუდფორდმა თომას ენკვისტს (შვედეთი, 3) აჯობა, სამპრასმა კი სამ ხელში დაამარცხა შვედი მაგნუს ნორმანი.

**ბარსელონაში**, თიხაზე, ისევე როგორც შარშან, წელსაც თომას მუსტერმა (ავსტრია, 1) მოიგო. ფინალში ამან 6:3, 4:6, 6:4, 6:1 მოუგო მარსელო რიოსს (ჩილე, 6). ნახევარფინალში მუსტერს სამი ხელი დასჭირდა ესპანელი კარლოს მოიას დასამარცხებლად, მანამდე კი რიოსმა 7:6, 4:6, 7:6 მოუგო ჯიმ კურიეს (აშშ, 2). მეოთხედფინალში მუსტერმა 6:1, 6:1 სძლია ესპანელი ფრანსისკო როიხი, მოიამ ორ ხელში გააგდო ცნობილი თანამემამულე ალბერტო ბერესატეგი, კურიემ 6:3, 7:6 დაამარცხა თოდ მარტინი (აშშ, 8), რიოსმა კი მოუგო შვედ მაგნუს ლარსონს, ვინაც წინა წრეში 6:1, 5:7, 6:3 გააგდო მასპინძელი სერხი ბრუგერა (4).

**ბერმუდაზე**, ჰამილთონში, იქაური შეჯიბრის ფინალში მალივაი ვოშინგთონმა (აშშ, 1) 6:7, 6:4, 7:5 დაამარცხა მარსელო ფილიპინი (ურუგვაი).

ირაკლი ნინუა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:

ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29